

ილიძე იოსებ მთავრის
Илиман Юсупан Мовсуран

კანკან-ნანანის კიბის წიგნი Дайн Лавтан Серло





საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა

ილმან იუსუფან მოვსურანი
Илман Юсупан Мовсуран

თარგმანი კობა ჭუმბურიძისა
Байташ гочийнарг Коба Чумбуридзе

მამა-პაპათა მიწის ნათელი
Дайн Лаяттан Серло

თბილისი 2021

udc (უაკ) 821.351.42-1

მ-808

რედაქტორი
მედინა ხანგოშვილი-ბარგიშოვა

დიზაინი
თინათინ ქუმბურიძე

ტექნიკური უზრუნველყოფა
შალვა პაპალაშვილი

მადლობას ვუხდით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს გიორგი კეკელიძეს და ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორს ემზარ ჯგერენაიას თანადგომასა და წიგნის გამოცემისთვის.

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021

© ნონა ხანგოშვილი, 2021

ISBN 978-9941-9736-8-0



კობა ჭუმბურიძე

დაიბადა ქ. თბილისში 1956 წელს.

დაამთავრა 31-ე სკოლა და პოლიტექნიკურის არქიტექტურის ფაკულტეტი.

არის მხატვართა კავშირის წევრი.

1993 წლიდან იკვლევს ქართულ საბრძოლო ხელოვნებას. არის ავტორი წიგნისა „ზნენი სამამაცონი“, აგრეთვე სპორტის ტრადიციულ სახეობათა და თამაშობათა ასოციაციის დამფუძნებელი.

აქვს რამდენიმე გამოკვლევა ეთნოლოგიის კუთხით.

კობა ჭუმბურიძის ნაშრომების უმეტესობა გამოქვეყნებულია მის ვებგვერდზე – <https://matekari.wordpress.com>

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოებულია ღირსების მედლით.

2010 წლიდან ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას.

დღეისათვის ნათარგმნი აქვს 3300-მდე ლექსი 159 ენიდან.

ამჟამად მუშაობს ჩრდილოკავკასიური პოეზიის კრებულზე.

მთარგმნელის წინასიტყვაობა (ილმან იუსუფან მოვსურანს)

ცხრა მთას იქით მოგიკითხავ, ილმან,
ღრუბლებს გამოტანებული საღმით,
მშობელ მიწას მოწყვეტილმა შვილმან,
ენას ძეგლი რომ დაუდგი კალმით.
მანდ შენს მამულს არაფერი არ ჰგავს,
რაზეც ჩვენში პოეტები ვმღერით,
ოდენ თოვლს და ოდენ მთვარის ნამგალს
ეფერები მონატრული მხერით.
მაგსიშორეს წყურვილს რა მოგიკლავს,
შენი სიო თუ არ გიაღერებს,
გახსოვს? მკითხე - რად თარგმნიო იმ კაცს,
სამშობლო რომ არ უბეჭდავს ლექსებს.
მერე რა, თუ გიტყვევებენ წიგნებს,
სათქმელი ხომ მაინც უნდა ითქვას,
გზას გულისკენ უწიგნოდაც იგნებს,
ღობე როგორ შეაკავებს სიტყვას.
ის დროც მოვა, ყველა საზღვარს წავშლით
და ამოვალთ ჩვენი მტრების ოხტში,
მერე ბევრჯერ ლურჯ სუფრასაც გავშლით
ქართველნი და ნოხიდი...

ხელოვნების ქარში და თარგმანის დიდოსტატი

იშვიათია სამყაროში ერი, გამორჩეულად მცირე ეთნიკური ჯგუფი, რომელიც თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მუდმივად ქმნიდა გასაოცარ ისტორიებს სამყაროს ყველა ასპექტში და სამწუხაროდ, ვერ ახერხებდა ამ მრავალწახნაგოვანი და მრავალგანზომილებიანი ისტორიების ქაღალდზე გადატანასა და რეალობაში სრულყოფას.

რადგანაც ვაინახები (ჩეჩნები, ინგუშები და ქისტები) იმ კატეგორიას განეკუთვნებიან, ვისაც საკუთარი დამწერლობა არ აქვთ, თუმცა ხალხური ზეპირსიტყვიერების კულტურა უმაღლეს დონეზე აქვთ განვითარებული, აქედან გამომდინარე, ჩეჩენი პოეტების შემოქმედება საუკუნეების განმავლობაში ფოლკლორის ფერად პალიტრაში იკარგებოდა მუდამ. ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ ვაინახები მათი ტრაგიკული ბედის, მრავალტანჯული ისტორიისა და ომის ქარცეცხლში გამქრალი ეპოქების გამო ვერ ახერხებდნენ საკუთარი პოეზიის ანთოლოგიის შექმნასა და ჭეშმარიტი პოეტების შემოქმედების უკდავყოფას.

ჩეჩნური პოეზია საუკუნეების მანძილზე და დღესაც, მათი ისტორიული ძნელბედობის ფონზე იქმნებოდა და იქმნება, ამიტომაც არის გამორჩეული, მათ ეპოქალურ ისტორიასა და რეალობას შესისხლბორცებული. სამწუხაროდ, ჩეჩენი პოეტების სახელები არ არის ფართოდ ცნობილი, თუმცა ვისაც წილად ერგო მათი შემოქმედება, ჩეჩნური პოეზიის მარგალიტები, მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე ეთარგმნათ, თავიანთ აღფრთოვანებას ვერ მალავენ და მსოფლიო მნიშვნელობის ამ დარგის კრიტიკოსებიც, ჩეჩნური პოეზიის სიძლიერეს, მიუხედავად სიმცირისა, ღიად აღიარებენ.

მართალია, ვაინახური პოეზიის თითო-ოროლა ნიმუში, მათ შორის ჩეჩენი პოეტი ქალი, რაისა ახმატოვაც, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროსაც ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა ქართულ სინამდვილეში, თუმცა სერიოზული განაცხადი ჩეჩნურმა პოეზიამ ქართულ ენაზე მხოლოდ ამ ათეული წლის წინ გააკეთა, როდესაც ქართულ ენაზე ითარგმნა, მსოფლიოში აღიარებული ჩეჩენი პოეტის, აფთი ბისულთანოვის პოეზია. ჩეჩნების „პუშკინი“ (როგორც აფთი ბისულთანოვს უცხოეთში უწოდებენ) ქართულ ენაზე, მშობლიური ჩეჩნური ენიდან თარგმნა მედინა ბარგიშოვა-ხანგოშვილმა.

და დღეს ჩვენს წინაშეა, ასევე მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილი და აღიარებული, ემიგრაციაში მცხოვრები ჩეჩენი პოეტი ილმან იუსუფოვი, პოეტი რომელიც საკუთარი ხმითა და სათქმელით არის მოსული პოეზიის დიდ ქართველებში.

„Лалур доций хууш хъайга дог сан кыйдалар,
Сих-сиха ахь соьга кховдош ши совглат ду, дахар:
О й л а н а ш я р — син пардонна сийлахь даьнаш дахар,
И л л и а л а р — йоьрзуш йоцчу чевнах ций далар...“

იცი, თავს ვერ მიუტევებ, სულს თუ ჟანგი ფარავს,
ამიტომაც მომანიჭე თუ რამ ჯილდოდ ღირდა:
განსჯა - რაც გულს დღენიადგ იარებით ღარავს,
ლექსის წერა - სისხლს რომ წურავს ამ იარებიდან“.

დიახ, ლექსის წერა, ჭეშმარიტი ლექსის შექმნა არ არის იოლი საქმე, სისხლიან ჭრილობებსაც ტოვებს, ფიქრთა კორიანტელსაც აყენებს და არსებასაც გინაწევრებს. და სწორედ, ამ სიმძაფრესა და სირთულეში იბადება ნამდვილი პოეზია.

ჭეშმარიტი პოეტი ყველაზე ძლიერ ლექსებს საკუთარ კერაზე, ძვირფას მამათა მიწაზე ქმნის, თუმცა არანაკლებ შთამბეჭდავია სამშობლოს მოწყვეტილ, იძულებით ემიგრირებულ პოეტთა სულის ძახილები, ნოსტალგიით გაწამებულები, სამშობლოს მიწის სურნელს მონატრებულები, უმზეოდ რომ ატარებენ უცხო მიწაზე სევდიან სიცოცხლეს.

„და ხვიხვინი ოგურისა როცა მოესმება,
ჩეჩნეთს გადაიგელვებს ჩემი ფიცხი რაში.
ჩეჩნის ენის გასაგონად სმენა ილესება,
სადავეებს მივუშვებ, გავზავდები ქარში“...

ან კიდევ:

„ჰე ჩეჩნეთო, ნაკვალევი, რაც კი ჩემგან გრჩება,
მინდა მაგ შენს ბილიკებზე მტლად რომ დაგეფინოს,
წლითიწლობით ეს სხეული უფრო მჩატე ხდება,
რომ სიმძიმით უნებურად რამე არ გეტკინოს“.

განსაკუთრებული ბედისწერა გვერგო პანკისელ ქისტებს, რომლებიც უფალმა გამოგვარჩია და ორ სამშობლოსთან ერთად, ორი მშობლიური ენით დაგვასაჩუქრა. თითოეული ქისტი გამართულად ფლობს

სახელმწიფო ენას და ამით ზეცამდე ამაყია. არაერთხელ გვითქვამს და განვმეორდებით, რომ უფრო დიდი ამქვეყნიური ჯილდო, ვინემ რუსთველისა და ვაჟას, ყაზბეგისა და ილიას, რობაქიძისა და ანას ორიგინალში წაკითხვა და აღქმა, ალბათ, კავკასიელებისათვის იშვიათია. ასევე ორმაგად სასიხარულოა, როდესაც გეძლევა საშუალება ჩეჩნური პოეზიის ორიგინალითაც დატკბე და მისი ქართული თარგმანიც შეიგრძნო მთელი არსებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პოეზიის შექმნაზე არანაკლებ ღვთისგან კურთხეული საქმეა პოეზიის თარგმნა, და საერთოდაც თარგმანის ხელოვნება... ნამდვილი პოეზია ტექნიკური სულის ამოძახილის, ქალაქდებე დაქარგულად გადატანის ხელოვნებაა, აი, თარგმანი კი უფრო დიდ ოსტატობასა და პოეზიის სიღრმეებში წვდომას ითხოვს, ამასთანავე ეს უფლის ხელდებული ხელოვნება ენების სიღრმისეულ ცოდნასაც საჭიროებს და ამ ყველა სირთულესთან შეჭიდება და მაღალ დონეზე გამკლავება ერთეულთა ხვედრია. სწორედ, თარგმანის, ამ ურთულესი და უძლიერესი პროფესიის, უმაღლესი მწვერვალები დაიპყრო ქართველმა პოეტმა და მთარგმნელმა კობა ტუმბურიძემ, რომელსაც მსოფლიოს 159 ენიდან აქვს თარგმნილი პოეზიის ათასეულით ნიმუში.

მისი თარგმანების გაცნობისას რწმუნდები, რომ დიდ ნიჭიერებასთან გაქვს საქმე და აი, როდესაც ორიგინალი შენი მშობლიური ენაა და მისი თარგმანთან შედარების შესაძლებლობაც გაქვს, მაშინ პასუხაუცემელი კითხვები უბრალოდ არ არსებობს:

„გული თუ მიუშვი, ვითარცა მფრთონავი რაში,
უბელოდ არასდროს ატენო ფიცხი და მალი...
მარადისობასთან შენს გამო დღემდე ვარ ვალში,
ხვალვე თუ მოვკვდები, როგორ დავაბრუნო ვალი? „
კითხულობს ილმან იუსუფოვი და მთარგმნელს კი ასე ლამაზად,
ასე ზუსტად და უნაკლოდ მოაქვს ჩვენამდე პოეტის გულისხნადები.

„ცის გეჯაში ღრუბლის გრია სარეცხივით გროვდება,
მქისი, ქუში, აგერ გუშინ გაგებული სატინად,
სოფელს მიღმა იფქლის ყანა ავ ამინდს ელოდება,
გლეხებისგან განწირული ყინვების ასატანად“.

ქარგავს და აგვირისტებს, ულამაზეს ენაზე შობილ სტრიქონებს ბრძენი კალმოსანი.

მახსენდება როდის მქონდა ბატონ კობა ჭუმბურიძესთან პირველი შეხვედრის ბედნიერება და გონებაში უმაღლესი არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა და ისტორია ამოტივტივდა: ის მუდამ იქ იყო, სადაც ქისტებს დახმარება სჭირდებოდათ, იქ იდგა, სადაც ქისტები ყურადღებას ითხოვდნენ, უმაღლესი იქ ჩნდებოდა, სადაც ქისტებს თანაღმობა შემოაკლდებოდათ, არასოდეს ყრიდა ქისტების დასაცავ ფარ-ხმალსა და გულითა და გონებით დაატარებდა ქისტური ჭეშმარიტების მრავალმხრივ ვექტორებს. თუმცა, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი წახნაგი ამ ურთიერთობებისა არის, ის რომ მისი დახმარება ყოველთვის იყო უანგარო და გულწრფელი, იმდენად ალალი, რომ ადამიანს მაღლობის თქმისაც შეგრცხვებოდა.

პანკისელ ქისტებზე, რომც არ ვისაუბროთ, კობა ჭუმბურიძეს წილად ხვდა ორი გენიოსი ჩეჩენი პოეტის აფთი ბისულთანოვისა და ილმან იუსუფოვის პოეზიის ნათელი ყოფილიყო ქართულენოვანი მკითხველისთვის და ეს სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ვანიხებმა მისი ჭეშმარიტი შემოქმედების ძეგლი გულითა და გონებით ატარონ.

უცხოებაში დევნილი ჩეჩენი პოეტი ილმან იუსუფოვი ერთ-ერთ ლექსში სვამს სევდიან კითხვას, დარჩება თუ არა მისი სახელი სამშობლოს მარადისობას.

„სხეული იქცევა უგემურ საკვებად მიწის,
სული კი იქცევა სანუკვარ ნუგბარად ცის...
და
ნეტავ თუ სამშობლო, საკუთარ ხსოვნაში,
ოდესმე ჩემს სახელს ამოტივტივავს.“

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ რომელიმე ჭეშმარიტი პოეტის სახელი ისტორიის კუთვნილება ხდება ჩვენს რეალობაში, მაშინ ილმან იუსუფოვი ერთ-ერთი მათგანია, და რაც მთავარია, მასთან ერთად ჩეჩენთი არასოდეს დაივიწყებს მისი დიდებული შვილების, დიდებული შემოქმედების, კიდევ უფრო დიდებულად საზოგადოებისათვის მიმწოდებლის, კობა ჭუმბურიძის სახელს, რომლის მაღალპროფესიული ხელოვნება შარავანდედად ადგას ჩეჩენური პოეზიის მარადისობას.

მექა ხანგოშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

სინანული

ყველაზე მწიფე მსხალი მიიზიდავს კრაზანას
ქარაფშუტა ქარს მიაქვს, როგორც სიჭაბუკე,
წასვლა ვერ მოუსწრია ჯერ გუმინდელ საზრუნავს,
ხვალინდელი დღევანდელს ემატება უკვე.

ისმის მყვარის კრუალი, სევდას მამიარები,
გამქრალ ბედნიერებას ლაქაშებში ეძებს.
მიფრინავენ წამები, დაუწერი ბწკარები,
და სინანულს ტოვებენ ჩემი კალმის წვერზე.

Байттамал

Злугано кхор лоху уггар а хилларг.
Баппано яржайо шен къоъжа кана.
Гена а далале селхана хилларг,
Хинцца дерг чехадо хиндолчо кхана.

Уьшал чохь пхьид ека, шен гIайгIа иййеш,
Шен дайна ирс лoъхуш эрзашна юккъехь.
ДIайoълху мIаьргонаш – аланза иллеш,
Байттамал дуьтуш сан къоламна юххехь...

ლამე მთვარის ქარცი ნავით სადღაც გაიპარა,
დილის რთვილი ბალახებში ტკიპასავით ჩაჯდა,
ნაბიჯებქვეშ ახრაშუნდა შერთვილული შარა,
მშვიდ ბურუსში ცისკიდური მორცხვად არიჟრაჟდა.

საკვამურმა კვამლის ბწკარი ცაზე შეაკიდა,
ღრუბელი კი კითხულობს და ცრემლი მოადგება,
წივწივა რომ აფრინდება გათომილი ქვიდან
გული თბება და სინაზის ოდა იბადება.

კარჩხი კოჟრით დაფარული ხის ტოტები ზრება.
გზისპირ ალვის გრძელი რიგი ქარებს მკერდს აგებებს,
შეტირხლული ურდულები ვერცხლად გეჩვენება.
ძირს ფოთლები შეკოშტილან, თითქოს შეაწებეს.

წელიწადის ეს დრო არის საჭადრაკო დაფა,
ორი ფერი გაბატონდა – ელვარე და მშვიდი,
მაღლა თეთრი ქიმებია, თალხი ტევრი – დაბლა,
თეთრად ელავს მდინარე და ადგას შავი ხიდი.

და მეც ვუმღერ რიგრიგობით ნათელსა და ჩრდილებს,
ხან უკუნეთს ვეფერები, ხან სინათლეს, უღევს:
შავი დარდი გულს დაფარავს და სთველს გააცილებს,
ფიქრებს, თოვლის მონატრულებს, შეამარახულებს.

Буйса текхош, къайладели беттан можа бурам.
Веччалг санна, лаьттан чкъурах йоблла гура-йис.
Гулч ма-яьккхи, бека берриг къерсигбаьлла урам.
Дахарлахь цхьа ирке серлайолу анайист...

Махехь яздо туьнкалгаша кларрийн сетта йоза.
Довха иза доьшуш, мархийн баьрхиш дакъало.
Ша хьаькхначу тлулга тлера глоттуш цирцир-хьоза,
Сан даге цхьа клада-мерза илли даккхало...

Шан пардонан ахарг дина генаш гоьвно глораш,
Некъа йистехь, мога бина, цийза акhtarгаш.
Дато долуш санна хета клац йиллина глораш.
Шалмаз хьаькхча санна, вовшахлиетта эгна глаш...

Хара бу-кх и хенан хоттам, шахматийн у санна,
Щеца ши бос болуш болу, ши бос — лаьржа, клайн:
Клайн ду лаьмнийн баххьаш, лахахь — кюрбиллина хьаннаш.
Клайн ду куьзга хинан, амма лаьржа — чуйнан тлай...

Хета шалгоюьйлуш суна кху сайн иллин шовкъ а —
Бода хьобстуш лела, таккха серло хастайо:
Лаьржа глайга даг тле тесна, гуьйре йоккхуш новкъа,
Ла тедаре хьобжуш лаьтта ойла къежйи цо...

ბაბუაწვერას

ძალიან მიჭირს მე გულგრილად შენს გვერდით ჩავლა,
ტკივილით გათანგულ გრძნობას ნუ ჩამითვლი ფუტად...
და თუმცა შენი თავი ჭაღარით მოსილა ახლა,
მუხანათ სიბერეს მინდა შეეგებო ურჩად.

მე შენთან ვალში ვარ: როგორც კი სევდაზე ვთესე
ეგ თესლი ჭაღარა, დაჰკარგა მან გლოვის ფერი.
ავდრის მოლოდინი დე ნუ დაგაღონებს ასე,
ამ გულის სარკმელში ციაგებ, ვით ვერცხლს მწკერი.

რა ვუყოთ, ფუტკარი თუ შენთან მოსვლას ვერ ბედავს
იმისი შიშით, რომ მის თაფლს შეერევა მწარე.
გული მეწურება, როცა შემოგცქერი ბეჩავს,
მიწაზე გაწოლილს, როდესაც დაჰქროლავს ქარი.

და მაინც, თითქოსდა ჯინი სჭირთ ამ ყმაწვილ ქარებს,
გშლიან ბუსუსებად და მიგაქანებენ სადღაც.
სულისთვის საამო მრავალი ყვავილი არის,
მაგრამ ეს ფიქრები შენს თმებს მისტირიან ახლაც.

შიშველი ღერო კი, გახრუკულ ბალახში წვება,
საფლავის ქვასავით დგომა თუ მობებრდა ნეტა,
გონებით თუ განსჯი — ყვავილებს აღარ ჰყავთ მეფე,
გულით თუ განიცდი — ყვავილებს მოუკვდათ დედა.

Баппане

Хьуна петухуш, тлехвала ду лаламат хала,
Лазаман це кхетта сан тидам ма хета дола...
Хьан корта буьззина, къобжалла къедахь а хьала,
Ца лаь кесталга хьо дерза къаналлин дола.

Со-м хьуна декхар вай: хьан къобжа хлуш тле ма-дийннехь,
Луьста варкъ диллина сан гайгга бос хийца яьлла.
Ма хила гийла кху яча кечделлачу дийнахь,
Сан деган коран бляьрг хьан дато нур леца баьлла.

Ма доха, шайн мазах къахьалла кхетарна кхобруш,
Накхаран мозий ца эхарх а хьайна аьттехьа.
Делахь а, дог лаьвжа, массарел хьуо миска лобруш,
Экаме са махах лардеш, хьо таьлаш лаьттехьа...

Хлетте а, кхелана буьрканах тарбелла корта
Кьоначу мехаша хлуй-пака бокхий-цца, къовсий...
Сатедан хаз-хаза зезагаш доллушехь шорта,
Йоблху сан ойланаш, тломачу месашка хьовсий...

Кьортаза шийла гад, хлавао долиинарг кламдан,
Чурт санна, ца латта, бацала дужур ду кхана...
Кхетаман хьесапехь – кхелхина зезагийн тхамда,
Ткъа деган кхетамехь – длаььлла оцеран нана...

სამი გრძნობა

ლოგინი გავშალე ლექსების სახლში და
სამ სათუთ გრძნობას ვუთხარი ნანა,
წადილმა ნატიფმა ამ გულის სარკმლიდან
სუფთა ჰაერი შემოიტანა.

პირველს ჩაეძინა და სატრფოს თვალებმა
ზმანების ფრთებით შორს გააქანეს.
მას თავის მიჯნურთან შეყრა ეჩქარება,
ჰოდა ენუკვის საყვარელ თვალებს...

მეორე გრძნობა კი, ვიდრე დაიძინებს,
მოეფერება ჯერ დედის სახელს,
მას მშვიდად არ სძინავს, შფოთვას ვერ იცილებს
და ყოველ წუთში თვალს ასჯერ ახელს...

მესამე ჩემს გზაზე ხიფათს ერკინება,
მარიდებს ბედის დაკავკაულებს.
ფხიზლობს გამუდმებით, არ ჩაეძინება,
მამულზე ფიქრებს ან რა დაუღევს.

ციმციმებს ფიქრების ლოგინი, მოვისა,
და სამი გრძნობა, მაღლით შემკული.
მე მშვიდ ძილს ვდარაჯობ პირველი ორისა,
მესამე თავად არის ებგური...

Кхо синхаам

Сайн иллийн хлусамехь баьррче мотт биллина,
Длабижо кечби ас кхо синхаам.
Царна хлуо кхетийта, деган кор диллина
Хыйза сан уггаре оьзда лаам.

Хьалхара синхаам езачун бляьргаша,
Геннара схьякьежий, генашла хьо.
Шовданан коьрте длабигийтар цаьрга ша
Набарха даима далхадо цо.

Шозлагла синхаам, ненан дог хьявстина
Баьлча бен, цхьанна а тхьявсаш ца го.
Тем боцу наб хуьлу йийриг цо кьявстина —
Мляьргонехь эзарза бляьрг боьллу цо.

Кхозлагчо, лаьржачу вонна некъ бихкина,
Нисдо сан кхолламан коьрта низам.
Набаран суй банза, ондда юкъ йихкина,
Даймехкан ойла еш, лаш бу иза-м...

Ойланийн сирла мотт царна клел биллина,
Сан кхуй а синхаам хьобстуш со ла.
Хьалхарчу шиннан наб ларйо ас виллина,
Кхозлагчо гонаха хлоттадой ха...

ცისმარე შენით ვარ მბორგავი, სიმღერავ ჩემო,
რა ბედი მარგუნე, არ მახსოვს სიმშვიდის გემო.
ნუ ფიქრობ თითქოსდა ეს გული კარია რამე,
იღებ-იკეტება განცდათა ცვლილების გამო...

ვენებს, დაძაგრულებს, ვითარცა ფოლადის მავთულს,
სარეცხად შეაფენ დანაკარგებსა და ტანჯვას...
სისხლიან დროებას დაღივით დააჩნევ ამ სულს
და სევდად ეპნევი გულში მობრიალე ხანძარს.

ქარქარა ფურცელზე ასოებს გაგავლებ ხნულად,
სიტყვათა ეს ხორა ოქროს მადანივით არის.
არ ვფიცავ, ოდესმე შევძლო და გიმღერო სრულად,
ვშიშობ ვერ მოვასწრო დაწერა სულ ბოლო ბწკარის.

გული თუ მიუშვი, ვითარცა მფრთონავი რაში,
უბელოდ არასდროს ატენო ფიცხი და მალი...
მარადისობასთან შენს გამო დღემდე ვარ ვალში,
ხვალვე თუ მოგკვდები, როგორ დავაბრუნო ვალი?

* * *

Сан илли, ахьа-м со де-дийне хьийзаво готта,
Синтемах со воккхий, ахь йо сан оьмарна Гело.
Сан миска дог хьуна ков ду а ца оьшу мотта -
Синхаам хийцалуш, д'адоьллуш, т'ач'оглуш лело...

Болатан серий а дац-кха сан ций лела пхенаш,
Баланаш, лазамаш, кхалхарш т'е ма ихка царна...
Сан сих чекх ма яха цийн ловраш хуьйдина хенаш,
Пайгланан юкъ т'е ма тийса сан кийрарчу царна...

Готанца санна, ас элпашца к'айн кехат оху,
Хьан дешнийн оьланаш нур-дашо б'аьллаш а лобруш.
Аса-м хьо дерриг а суо аьлла ваьлла ца боху,
Чаккхенга ластале, хьо сайх д'акъастарна кхобруш.

Ца лахь а хехказа, дин санна, сан деган пекъар
Яйдакха мукъане ахь иза ма хехка т'аккха...
Хьо делахь сан кхиэло азаллехь хьарчийна декхар,
Кханенга ца валахь, хьо муха деза ас такха?

სიცოცხლისადმი

მძინარობა, თვალზე რულით, ჩვენი დროის სენი,
სიკვდილსა და სიცოცხლეზე ფიქრად ჩამისახლდა.
იაფად რომ შეისყიდონ შემწიფება ჩემი,
წლები რიგში ჩამომწკრივდნენ ჩემი ბედის დახლთან...

თუმც სახესთან ახლოს დაფრენს ნაოჭების ქსელი,
სულის რტოებს მოეძალა ფოთოლოცვენა მჭკნარი...
სიცოცხლეო, ამ მოღვენთილ ტანშიც ვერ შესძელი,
რომ დააცხრო მორევივით მბორგავ ჟინთა ჯარი...

რაკი სუფთად მოვიპოვებ ლუკმას, დასაპურებს,
ჩემს ზრახვათა სისუფთავეს მოწმედ დაუდგები.
მოთმინებით გაუპოხე ღერძი ბედის ურემს,
ამიერით მისი ტრინით აღარ გაბეზრდები...

როს სიავეს სწადს კეთილი საქმის დამონება,
ელის, წყარო სიმართლისა როდის დაგიშრება,
შენ სიცოცხლედ მიგაჩნია იმ დღეების წყება,
მიყოლებით რომ ინთება, ილევა და ქრება...

სულის ხერხით ჩამოხერხავ სტრიქონების კორძებს,
და ნახერხით პირს უქოლავ ჩემი გულის ნადებს.
თუმც მალულად, აქა-იქა, სიხარულსაც მომცემ,
ზემით ბედნიერებისა ირგვლივ მონაქანდებს.

იცი, თავს ვერ მიუტევებ, სულს თუ ჟანგი ფარავს,
ამიტომაც მომანიჭე თუ რამ ჯილდოდ ღირდა:
განსჯა – რაც გულს დღენიადაგ იარებით ღარავს,
ლექსის წერა – სისხლს რომ წურავს ამ იარებიდან.

Дахаре

Хенан сиркхо — наб тегерташ, баьргийн хюаш луйсуш,
Дахар, и хьан маьна довза сан а дийзи-те?
Сан механа язлуш лаьтта геметталла кьуйсуш,
Кхиэлан базар сийсош, хуьтту-кх шераш гийзиге...

Кхача глерта юьхь сан хершнийн гезгамашин кара,
Синглаш хьега девлла баьрзних эгначу ганийн...
Амма дегл сан боддинехь а, лагл ца йи ахь хлара
Деган юмахь буру хьийзо шовкьийн клуркьмани...

Ца юсторна нехан хьокьо сан рицкьанан ворта,
Хуьтту хир ду теш хьо деган ценаллина сан:
Ахь семанна даьтта хьаькхна сан оьмаран ворда
Тера яц-кха, цийзаш, адамашна кула ян...

Лиьна хьан нийсонан хьоста кьинхетамза лакьон.
Вуонаш глерташ диканийх дан шайна муьтлахь леш,
Елла-те ахь, «дахар» аьлла, хьайн цле тилла бакьо
Кху деношна, уьш хиларх а, дладовларца леш?..

Байтийн совнахдевлла генаш синан херхо хедош,
Сан ойланан бага юзуш дешнийн жираша,
Хьо го суна пхуьйшахь, четахь хазаетар кьедош —
Чохь а, тлехь а дашо динарг ирсан тираша...

Лалур доций хууш хьайга дог сан кьийдалар,
Сих-сиха ахь соьга кховдош ши совглат ду, дахар:
О й л а н а ш я р — син пардонна сийлахь даьнаш дахар,
И л л и а л а р — йорзуш йоцчу чевнах ций далар...

შემოდგომის წვიმა

მთელ ღამეს მოთქვამდა ცივი შემოდგომის წვიმა.
უკვე შუადღეა, თუმც ჯერ არ ეტყობა დაღლა
და წვიმის წვეთების ათასი შრიალა სიმი
უცხო ზმანებათა მხარეში მიმიძღვის ახლა.

ქარი კი შორეთში მიდენის ღრუბელთა ფარას,
და დარდი სულ არ აქვს წვიმის მორტფიალე მიწის.
გზისპირ, ნეკერჩხალი ხასხასა პეშვებში ფარავს
ვარსკვლავთა სადარი ციური ცრემლების ციმციმს...

ნეკერჩხლის ფოთლებში თავს იყრის წვეთების ჯარი,
ეს ბოლო სანგარი მცირე ხნით მათ კიდევ იცავს.
თუმცაღა სიცოცხლეს სრულიად განაგებს ქარი,
მას ხომ შეუძლია ყველა დააშვავოს მიწას...



Гуьйренан догла

Сахиллалц тейхна гуьйренан эндаже догла
Делкъенга дели кхин тенне а длатен ца тугуш.
Тіадамийн мукъам бу лууш ас шега ладогла,
Схьалаца тіам боцчу ойланийн махка со вуьгуш.

Мархашка ла ца ло махо шаш кхечанхьа длахьош,
Хлора шен лаьнарца еш шайна чинчире иттарш.
Баьцарчу канашкахь догланан тіадамаш Іалош,
Хіваах декхаш Іа маьлказийн исбаьхьа дитташ.

Тіадамийн буьртигаш, генашлахь шайн сур а дебош,
Мох теран мІаьргоне сатуьйсуш, дІакхачош лаьтта.
Шайн лаам хиларна, хих буьзна біаьргаш а лепош,
Цкъа довла сапарІат, шаш охьаэгале лаьтта...

ბრძოლისად

ბრძოლავ, ჩემი სიმღერები არვის არგებს დიდად,
შენს მხარდამხარ თავდადებას თუ არ მოიმარჯვებს,
მე ხომ ვიცი, გეგულები ერთგულ მიურიდად,
მაშ მიბრძანე და ავლესავ ამ ფოლადის კლანჭებს.

ცხრომის ქოხში, ვით ნაჭუჭში, სულს სილაღე არ აქვს,
კვებავს ვნებას მოდუნების ყვითრი, უღიმღამო,
ანგრევს ჩემი სანუკვარი ოცნებების ქალაქს
და იტაცებს გულს განცხრომის ანდამატი ამო.

სულ პირველი სიკვდილივით იყო ერთადერთი
შემართება ჩემი ჰანგის სატევარის პირზე.
ჯერ სულიდან ომის ჟინის მტვერი დავიფერთხე,
ხოლო შემდეგ მცონარობის ნეტარება ვიგრძენ.

ბრძოლავ! მოვკალ იმედები ამ სიმშვიდის კვებით,
ის ხორცი ვარ, მართლობის კბილებში რომ რჩება,
ხოლო ხსოვნა მეკვებითა, განსჯის აწმახებით,
გულგრილობის ჭრელი გველი გვერდით იკლავება.

სწადს დაგესლოს წმინდა ცრემლი ორპოტიკა ენით,
ჩემი ბგერის წიალიდან თანაგრძნობად მდენი,
ხვეულებად იგრაგნება ზიზლი, ამაზრზენი,
რომ სიმღერას, რაც გიძღვენი, მიაღვენოს სტვენა.

ჩემს ძიებებს ვუწინამძღვრებ შენს ბრიალა დროშას,
მომეც ძალი, სადარაჯოდ ნაშიშვლები ხმალი
ავლესო და დავაკვესო, არ გავუტყდე დრო-ჟამს,
გამარჯვების ზეიმამდე რომ არ მიმყვეს ვალი.

მომეც ჩემი ჰანგის ლმობა მგზნებარებით მბორგავს,
შენი ელვით გამინათე სულის მინარეთი,
ჩემს სიმღერას დააკვირდი, ნუთუ პროთემს მოჰგავს
ეს ეშვები სიტყვებისა, ავის დასაფლეთი...

Къийсаме

Иллин багахь лозуш хилла дешнаш-цергаш тий сан-м,
Ахь ца делча суна цаърца кегдан шовкъан бIараш.
Хъа-м ма бара хъайн тешама мурд со лoъруш къийсам,
Сoьга ахь кхин ир ца йойту хъайн болатан мIараш?..

ХIoъан чкъуьйриг сана, готта хIара томан оти,
Дог тaлочу синхъааман буйра лешон долу.
Сатийсаман шахъар хилла йилбаз-гIала отий,
Синтоам шен мисарболат даг тIе леца болу....

Латта тIера духъарлера дакъа санна, цхъалха
Iадда дуйтуш иллин туьран буйхъехь карзахвийлар,
Синтемзаллин цIокалара волу со-м цкъа хъалха.
Цул тIавхъа тIедужу сунна кIадо марахь къийлар....

Къийсам, аса-м синтем бустош, дегайовхо а йийна —
Цуьнан дилханан цуьрг — со — Iа цхъаллин цергах лета...
Ас кхетаман бIаърса-ъ лахий, ойла муст а йина,
Бендацаран къорза лахъа сунна уллехь сета...

Меттан шалго хъалалуьттуш, синхIуо элах кегoш,
Ла ца луш сан озан бIаърхиш, къинхетаме лешарш,
Шен кIамлучу дегIан чIагарш инкарлонца легoш,
И-м шакарца зарзъан гIерта хъо хестийна эшарш...

Сан лехамийн бIона оьшу хъан тешама байракх —
Нийсонна хехь даим дитташуйра лаьтта тарраш!
Ирдайтихъа соь уьш наггахь, яoш шерийн гIайракх!
Хъакъвеш со а, толам базбеш, тоха онндда тIараш!

Схъалохъа сан иллин лазам — шовкъан маса бера,
Хъай стогаллин малхехь къагош синмаьждиган момсарш.
Хъажал хъо-м сан иллин бага: яц кхеманaх тера
Хийла зулам дIатабийна дешнийн ира кIомсарш....

* * *

უსხეულო ღამის ლანდი უხმოდ გაცოცდება.
მთვარის ვერცხლის ობობა ქსელს ქსოვს ღრუბლებისა...
რა სჭირს სასწორს განწყობისა, რატომ იყანთრება,
როს გულიდან ბანგი დის მოწყენილობისა.

რა სჭირს სასწორს განწყობისა, რატომ იყანთრება,
თუნდ წვეთი სინანული დაემატოს პინას.
მერე წონასწორობაში აღარ დაბრუნდება.
გაჩერება არ ძალუძს სულის ისარს, მფრინავს...

მერე წონასწორობაში აღარ დაბრუნდება,
თუმც გული, მოთრიმლული, ვნებით აღარ ღვივის...
ვარსკვლავეთი ღრუბლებიდან ისე იჭვრიტება
აღბათ აინტერესებს წონა თავის სხივის.

ვარსკვლავეთი ღრუბლებიდან ისე იჭვრიტება,
სხივებს, „პატარა დათვის“, წონა ემატება...
ღამე-ფანდურს ჩრდილ-სიმები აუხმატკბილდება,
ყველა ჰანგი, ლამაზი, გარს შემოუსხდება...

ღამე-ფანდურს ჩრდილ-სიმები აუხმატკბილდება,
ტბასთან რომ აჟღერდება ტრიტინათა ქნარი...
და ხვიხვინი ოგურისა როცა მოესმება,
ამოხტება გულიდან თოხარიკი ბჭკარი.

და ხვიხვინი ოგურისა როცა მოესმება,
ჩენეთს გადაიგეღვებს ჩემი ფიცხი რაში.
ჩენის ენის გასაგონად სმენა ილესება,
სადავეებს მივუშვებ, გავზავდები ქარში...

ჩენის ენის გასაგონად სმენა ილესება,
ვჩხრეკ ოცნებას, სიმღერის დვრიტა რაიც ხდება,
და ხანდახან სულს სისუსტე თუკი ეუფლება,
ნაცვლად სისხლი მდულარებს, წლები იფერფლება...

და ხანდახან სულს სისუსტე თუკი ეუფლება,
ნაცვლად ჩემი ბედის რტოს ბილილები ბრილაგს.
სევდა მუდამ ავდარივით ხომ არ აიმღვრევა,
დაე მისი ნამცვრევიც ნუ მიატანს დილას...

სევდა მუდამ ავდარივით ხომ არ აიმღვრევა,
როს გულიდან ბანგი დის მოწყენილობისა,
განწყობათა სასწორიც ხომ გაწონასწორდება,
ობობა კი ქსელს მოქსოვს ვერცხლის ღრუბლებისა...

* * *

Маьрклаженан Индагашна пхьор дан лиьна мерза,
Мархийн маша боза хlobтти беттан дато гезг...
Ма галдала кийча хилла синхlobттаман терза,
Деган дургал лиьша яьлла, сагатделча клеьзиг.

Ма галдала кийча хилла синхlobттаман терза,
Беран маьррал дагахьбаллам оза дезча шен.
Туйгуш дац-кха дегочуьра иза юхадерза:
Уьдуш лела синан цхьамза лууш бац-кха тиэн...

Туйгуш дац-кха дегочуьра терза юхадерза,
Шовкьо дабагдина деган хlob длатийннашехь...
Мархийн маша нилха болччухула схьа а кьерзаш,
Седарчий ду серло оза герташ цунна тлехь.

Мархийн маша нилха болччухула схьа а кьерзаш,
Теттла язло Чухчахьеран сирла герканаш...
Буйьса-пондар хьедан йолу шен Индагаш-мерзаш,
Улле охьахийшош иллеш – уггар гергарнаш...

Буйьса-пондар хьедан йолу шен Индагаш-мерзаш,
Цаьпцалгаша Iома йисттехь аьзнийн чиркх латош...
Ойла-баргол хадош, хезна геннахь говраш терсаш,
Кийра батлош, араоьккху уггар йоргла дош.

Ойла-баргол хадош, хезна гennaхь говраш терсаш,
Нохчийн аре екош, боьду и сан оьзда дин.
Ненан меттан аьлха хьобкхуш, ирдеш бляьрса, лерса,
Хинццалц кьуйлуш хилла архаш ас а дямалйи...

Ненан меттан аьлха хьобкхуш, ирдеш бляьрса, лерса,
Толлу ас сайн мукьам денбен башха сатийсам.
Наггахь синна сиркхо тосаяларх кега-мерса,
Кхиэлан кхерчахь хан ягорах, цийн клеж ца тий сан...

Наггахь синна сиркхо тосаяларх кега-мерса,
Дерташ доцу заза лепош ду сан ирсан га.
Гуттар гертар бац сингаттам йочане тесерса,
Цуьнан цхьа а зирх-тадам ма болда луйренга!..

Гуттар гертар бац сингаттам йочане тесерса,
Деган дургал лиэша яьлла, са тундаларх клеззиг.
Меттадан а герга ма ду синхоттаман терза,
Мархийн маша боьзна яьлча беттан дато гезг...



საშემოდგომო შტრიხები

მზე იბრძვის, რომ ღრუბელს წარტაცოს ცის რუხი ზეზი,
კარმიდამოებში სთველი დგას, ტრელი და მტკნარი,
ნეკერჩხლის ფოთლები ცდილობენ შერჩენას ხეზე,
სპილენძის ხურდით სურთ ნელ-ნელა ისტუმრონ ქარი.

მომწვანო სიქაჩლე უჩანს გამოთიბულ მინდორს,
სისხამზე ცვარ-ნამი უბრწყინავს, ვით ოფლის წვეთი.
დღე ღამეს ანაცვლებს, მოილაპარაკეს თითქოს,
რომ ტყეებს შემორჩეს მარტოდენ შავი და თეთრი.

ზეცა ტბას ჩასცქერის, სარკე თუ ჰგონია ალბათ,
მაგრამ ანარეკლი რატომღაც აუშლის დარდებს.
ჩემი შემოდგომის ბწყარებს ეწაფება ხარბად
ჰანგი, გარინდული გადაღმა ასკილის ბარდის.

სველდება სერები, ჟამი ახლოვდება ცივი,
ძანძახი წვიმები ავად დასტრიალებს სოფელს,
გახედე, როგორ ჰგავს წეროთა წალიკი მწყრივი
ყველაზე სევდიან ძაფს ჩვენი ურთიერთობის...

Гуьйренан хьаьркаш

Мархаша маьлхаца кьуйсуш ду стигалан пардо,
Гуьйренан аматех юьзна ю юьртахойн керташ.
Маьлказан глаш а ду моьттуш шаьш шайн уммат лардо,
Жим-жимма цласта луш, сутара мох Iехо гIерташ.

«Тус» кIамлуш, Iуьллуш ю мангалша лергина цана,
Цунна тIехь Iуьйренца хьацарха тхин цинцаш даьржа.
Дей-буьйсий хийцало, вовшашца барт бича санна
Кьорзачу хьаннашка эцийта ши бос – кIайн, Iаьржа.

Iам куьзга ду моьттуш, стигал ю цунна чухьобжуш,
Амма шен сурт гича, дIахIутту ерриг а чIечкьий.
Иштта кху гуьйренан шатайпа хьаьркаш а доьшуш,
Сан байт Iа, элхьамцан куллана тIехьа а лечкьий.

Лаьмнийн рагI тIуньелча, Iалам а долало дача,
Юьрта тIе хьийзаеш шийлачу догIанийн аса.
ПаргIулийн моглано гIуш-лакхехь диллина тача
Хетало уьйрашлахь бисина тIаьхьара хьаса...

ვაშლის ტოტზე შერჩენილი ფოთლის სიმარტოვეს
ემტერება რა ხანია ქარი მოგრიალე,
ცემს, სახეში ულაწუნებს ნიჩაბივით ტორებს,
ცდილობს აღსასრულის ჟამი დაუყენოს მალე.

ფოთოლი კი გადარჩენას ალბათ აღარც ესავს,
მინდობია ავი ქარის ბორგვას, ზაფრის მთესველს.
უსმენს ფოთლის თეთრი სულის უსასოო კვნესას
და ტკივილი შეატოკებს მის გამომზრდელ ფესვებს.

ტოტი ხედავს, როგორ ბედავს იგი ურჩად თრთოლას,
როგორ უძლებს ქართა ქროლას და ღირსებას იცავს,
ხოლო როცა ბეცა შეწყვეტს უთანაბრო ბრძოლას,
თავის პირმშოს დროის ხარკად გაუგზავნის მიწას.

გაიშლება მაშინ ფოთლის უსუსური ფრთები,
და სიცოცხლის ბოლო წამებს ფრენით გაასრულებს,
იყინება ტოტში წვენი, მისი გამომკვები,
უხმო გმინვით გამოიხმობს ტყეთა კეთილ სულებს.

აი რატომ მეწამულობს ფერი ჩემი ფიქრის,
ეს ჭრილობაც მოშუშდება, თუმც იარა რჩება,
და ფოთოლთა ახალ წყებას, აქ რომ ამოიყრის,
რტოთა ხსოვნა ამ სევდიან ამბავს მოუყვება...

* * *

Цхьалха гIа Iа сан бешарчу Iожан генах летта,
Лабтта дожош, и хIаллақдан Iалашо ю механ.
Цо шен даккхий морса куьйгаш гIанан коьртах детта,
Сихха гергаялон гIерташ цу пекъаран ле хан.

ДIасаетташ кьерсигъевлла шен меженаш можа,
Орца доьхуш санна хета бIарзделлачу гIано.
Берриг орам лазабоккхуш шен да болчу Iожан,
Шийла узам бо-кха цуьнан деган бIарлагIано.

Готта хьийзаш долчу гIано ша-шен ларден сий ган
Аьтто баьлла, декъалхилла и тIехь кхиьна цхьа га.
Амма хIара цхьалха кьийсам кIордо яьлча стигал,
Миска гIа цо кьиза кхуссур ду-кха лаьттан бага.

ГIано хьокхур яц кхин генах гIаддайна ка-мIараш,
Дужур ду и, тIаьхьа делхош дитташ бешан, хьуьнан.
ХIуонан тулгIенаш тIехь лестош гIора дойна тIамарш,
ТIаьхьарлера мIаьрго нека санна хир ю цуьнан.

И сурт сайна мел гин, ас еш йолчу ойланашна
Дертташ до-кха синIовжаман тIелаткъамо дукха.
ХIокху Iожо латон долчу гIашна-тIаьхьенашна
Генийн изсо цхьа гIайгIане хьадис дуьйцур ду-кха...

ვით გაგიზიაროთ ჩემი წინათგრძნობა, თუკი,
ეჭვის სარწმუნოებაში დაიწყებს იმედი რწმუნებას,
თუ პეპლის გაფრენას დავარქვით ქარი და ბუქი,
თუ ქარს შევადარებ დიდი სახელმწიფოს ნგრევას?

დე გულს გვიგმირავდეს წვეთიც კი მამულის სისხლის,
ტანი თუ დაეცა, სულმა შეუტეოს მტრის ბჭეს.
თავის წრუწუნიც კი, სათაგურიდან რომ ისმის,
უდრეკი ხალხისთვის საბრძოლო ნაპერწკლად იქცეს.



* * *

Муълхачу кепехь вай латтор-те синхъехам тидар
Вайн дегайовхонаш шеконан аганахь тахкахь,
Боккхачу хиламах тарлучохь полланан идар,
Мела мох тарлучохь гаттамах луларчу махкахь?..

Амма сих ов тухуш, пелг лаза баьлча а мехкан,
Юьхьдуйхьвал хлуттучохь мостагчун лазапан унна,
Карзахе цийзар а гуо схьалаьцначу дехкан
Маршоне сатийсар хетар ду лай воцучунна...

ეს დღეც ასე გაილია, ჯარასავით ბრუნვით,
ზედ ნართივით დაიხვია ხალხი მილეთის,
ოდეს ფიქრად მოვილანდებ ხატებს, სავსეს ურვით,
კაცთა ბედი დამადარდებს, ფორიაქი მჭირს.

დაისისას დამცხრალ ჯარას მივიხუტებ გულზე,
ვეფერები საფიქრალით გადავსებულ თავს,
იმდენს ჰყვება თავის ბედზე, წყენა-სიხარულზე,
ვხვდები, რომ სხვა მოსაყოლი არცარა აქვს მას.

ისე, რომ არ დამიყვია ახლობლად და სხვისად,
მივეც ერთად შესაყარი სულთა ყველა ძაფს.
ჩემი გული ყუდედ იქცა ყველას დარდებისად,
ტანჯულებთან საუბარი უკვე ჩვევად მაქვს.

და მათი ხმა რომ მესმოდეს მუდმივად და მკვეთრად,
ზენაარსი მთელს ცისქვეშეთს გაუსუნგავს ხმას,
დროის ჯარას ჩემს ხსოვნაში შევინახავ მკვიდრად,
ვიდრე ბრუნავს, ვუდარაჯებ მის უზადო სვლას.

ხოლო როცა გველისძაფა ჩემს ჟამს მოედება,
მელის ხილვა საკუთარი აღსასრულის დღის.
უფლის მიერ ჩემი ხსოვნის ნართი ჩაბარდება
ჯარას მზისა, მთელს სამყაროს გარს რომ ივრავნის.

Кхин цхьа де а чекхдели сан, урчакх санна, хыйзаш,
Эханг санна, адамаш а луйстуш шена тIе:
Шайн боларшца, аматашца сан кхетамехь зийзаш
Кхолламаш а болуш нехан, вац со паргIате.

Малх чубуззуш сецна урчакх ас сайн кара ийци,
Эзар ойла ечу цуьнан коьртах куьг хьаькхи.
Шен темех, цатемех лаьцна цо соь дукха дийци,
Дисиний-те аьлла хеттал бухахь дийца кхин.

Къеста ца беш хийраниш я сайна бевза-безарш,
Хеда ца деш, гулдалийти ас и синойн тай.
Ас сайн даг чу дIадийшийти ша массеран дезарш,
Сайн гIо оьшуш мел болчеран хабарш суна тай.

Даим суна уьш хазийта шавш ма-дарра шера,
Дала хIоттош хилла тийналла а лаьтта тIехь.
Ас сайн изьсехь Iалашийир ю массо урчакх шеран,
Уьш сайн хыйзаш мел ю лаьттар ву со царна хехь.

Амма сайн денош тIе хьерча боьлча шийла Iеха,
Цкъа мацца а сайн дахаран суна гур чаккхе.
Дала тIаккха дIалур ду сан изьсехь IаьIна эханг
Дуьне шена тIе луйстучу маьлхан урчакхе...

ფრინველთა გუნდის წინამძღოლს

ვიდრემდის სუსხებმა ალთოთი დაფარა ტბა,
შენ უნდა აშალო და წაიყოლიო გუნდი,
შენ უნდა იპოვნო თბილი ქვეყნებისკენ გზა,
სენი დაივიწყო, დაიცვა ბარტყი თუ ხუნდი.

ბუდე ვერ დაგიცავთ, აწ ცივი ქარები ქრის,
დათოვლილ ველებზე აღარ იპოვება სარჩო,
აღარ ძევს ბალახზე კრიალა ლანგარი ცვრის,
წკრიალა ჰანგები დაფენილ ფოთლებში ჩარჩა.

თქვი, როგორ უშველი რჩევებით მშობლიურ გუნდს,
თუ არ უმეგზურე, სამხრეთს ვით მიაგნონ მაშინ,
თუ მზე არ აღმოხდა, მთვარეც მიეფარა ბინდს,
შენი ჩიტები ხომ დაიკარგებიან ცაში.

ძლივს წამოფრინდები, წვალეებით მოხაზავ წრეს,
ქოშინით ხვდები, რომ ზეცაში დიდხანს ვერ გასტან,
ღრუბლებში, ქუფრებში, ბოლოჯერ დაიქნევ ფრთებს,
და შმაგი ტკივილი იფეთქებს მარცხენა ფრთასთან.

კვლავაც წინამძღოლი ჰკონიხარ წინწასულ ფიქრს,
თუმც ბედის წყალობას ამჯერად ამაოდ ესავ...
მოსწყდები ზეცას და ქვასავით წამოხვალ ძირს...
ოჯახის დამკარგველთ დე შენი არ ესმათ კვნესა...

Олхазарийн тхьамдане

Юман хин бляьрга тле шелоно лацале ша,
Жутт глатто деза хьан, хлоттаеш и хьайна тляьхьа.
Деза хьан бовхачу мехкашка и йига дла,
Клорнешна доладеш, хьайн лазар иэшадеш къаьхьа.

Мехашна дуьхьало ца яло баннашка шун.
Ялта ца карадо эсаро къеждинчу кхашца.
Шуна кхин бацо ца хиттадо тхин сирла шун.
Шун зевне эшарш а кхелхина эгначу глшца.

Дийцахьа, ахь муха кхетор ю хьайн хьоме жутт,
Клорнеш дла йигаран кепех – хьо цхьаьна ца хилча?
Дийнахь малх ца кхетахь я буса длабуьзча бутт,
Цара хлун дан деза стигалахь шаьш некъах тилча?

Ахь халла гьяттина, тасур бу лохха цхьа гуо.
Юдика ярца, ахь тухур ду тляьхьара тлемаш.
Юькьачу мархашлахь лалур дац хьоь шийла хлуо:
Хьан аьрру тлома клел лазар ду хьо эшон лемаш.

Ма-хуьллу глртахь а хьомечу клорнешца тле,
Кхолламо лекхаллехь цхьа меттиг буьтур бац хьуна...
Ляьтто тлеозийна, хьан цаьрца хедар ю зле.
Хьан мохь ма хазийла шен доьзалх мел хаьддачунна...

დედას

დედავ, მივხვდი რას ამბობენ შენს სახეზე ნაოჭები,
ჩემი გულის ენაზედაც გადმოვიტანე,
შუბლის განივ ნაოჭია – სახიფათო ჩემი გზები,
გვერდით – ჩემი შეცოდება, რაც მომიტევე...

ხოლო ლოყას რომ აჩნია, სულს მიყინავს მისი კვალი:
ჩემმა სენმა დაგატეხა დარდი იმხელა...
თვალთა ირგვლივ მოჯარულა ჩემი თავგადასავალი,
ნაოჭებად რომ ახსენებს ჩემი სიმღერა...

...ჩურთის* ჩრდილიც, უძინარად რომ დარაჯობს საფლავს შვი-
ლის,
სახეს შენსას ნაოჭივით დამატებია...
დრო კი, როცა ტანჯვად გექცა დარდი ვაჟის, გარდაცვლილის,
ტუჩის კიდეს გაჰყოლია, ტვინს შეხებია...

* ჩურთი – საფლავის ქვა

Нене

Нана, аса-м хъан хебарийн къахъа-дуъра йоза тидда.
Глехъа хан ю сан даго и-м хала гочдина.
Хъаъжаюккъех доъду харш – сан некъ бу кхерам болчу идда.
Цунна уллехъ – харш – сан палат, ахъа гечдина...

Шийла маъна долуш ду-кха бесни тлера кхин цхъа харш а:
Со цкъа мацах, цомгаш хилла, меттахъ иллина.
Хъан блаъргашна гонаха ю дахарера сан лараш а –
Хинца уьш а хершнийн куьцехъ го сан иллина...

...Клентан кошан барз ларбечу чуртан сема линдагIа а
Саццаза хъан юьхътIе оьгуш, харш хуьлуш ду шех....
Клант хъайх дIакъаьстичахъана ахъ ловш йолу хIара хан а
КIоргга балдийн сенаш охкуш, къиза хьерча хьихъ...



სამშობლოს

ჰე ჩეჩნეთო, ნაკვალევი, რაც კი ჩემგან გრჩება,
მინდა მაგ შენს ბილიკებზე მტლედ რომ დაგეფინოს,
წლითიწლობით ეს სხეული უფრო მჩატე ხდება,
რომ სიმძიმით უნებურად რამე არ გეტკინოს.

ვინც კი შეძლო და შენს ჩხატში ერთხელ განიწმინდა,
ყრუც რომ იყოს, ცხრა მთას იქით გაიგონებს მაგ ხმას,
შენი ქარი, როგორც კნუტი, ჩავიხუტო მინდა,
შენი სეტყვა მინდა მკერდმა წისქვილივით დაფქვას.

გაბაფხულზე გულის ღუმელს მზის ნაპობი მივცე,
ბაფხულში კი თავს მიჩხვერდეს წვიმა, გაშმაგებით.
სთველს ავუსხა სულის მძივი წეროების მწკრივზე,
ბამთარს ჰანგი მოვუკაზმო ღრუბლის მაქმანებით.

შენს უბიწო მონაპოვარს მიზიარებ დღემდე,
თუმცა იცი — ვანიავებ მაგ საჩუქარს, მრავალს,
ვაგებ მთვარის სიმარმარით ნეტარების კედელს,
ვარსკვლავების ქვიშით მოვფენ სატრფოსაკენ სავალს.

როს სიკვდილი მიყელებს და დაივსება სული,
მე ვიქნები იმათგანი, ვისაც უნდა სურდეს
მოსაკონად საფლავისა ბალახების წნული,
შენი ნისლის თეთრი ხელი, განსაბანად ჩურთის.

Даймахке

Даймохк, ас хъан лаьттаь юьту коган хлора лар а
Лууш ву со хила хъан некъашна аьхна даар.
Шераш тIе мел кхийти, тIеттIа сан дегI дайдалар а
Ду шен йозаллица цунна лазон хьо цалаар.

Карахдаьлларг хъан чухчарин хица ламаз эца
Хъан тийналлин аз ца хаззал ма хир вац-кха кьора...
Хъан мох оьшу суна, цициг санна, караэца,
Оьшу деган хьерахь аххьал хъан дарбане кьора.

Оьшу: баьста — кийра тилла хъан маьлхан цен гуьйриг,
Аьхка — коьртаь мехий детта хъан воккха лор-догла,
Гурахь — син туьтеш тIетаса хъан гIаргулийн могла,
Iай — иллешна бойнаш ян хъан мархийн кьоьжа уьйриг.

Гуттар дакъа до ахь суна хъайн хъаналчу мулках,
Хууш эрна ас ца дойтий айхьа делла загла,
Ирсан пенаш дуьтту ас хъан беттан шагатIулгах,
Сайн езачун кетIа буьхкуш хъан седарчийн жагла.

Барзах тебаш, еьна, тоьхча Iожаллино хьиех ка,
Со а хир ву хьуна лиьначарех сайна хила:
Хъан буц-ярийн тIийригаш а — кошан бертиг ехка,
Хъан дахкаран кIайн куьйгаш а — чуртан йоза дила...

წლები, ჩავლილები, ჩემს მტრებსა ჰგვანან,
არად რომ აგდებენ ამ ჭკნობად სხეულს,
ცხოვრების ანგარიშს ისწავლი განა,
ნაოტებს თუ ითვლი, სახეზე ბნეულს.

ყრმობაც სახუმარო სიტყვაა ალბათ,
გულის და სიცოცხლის ფლირტისას თქმული.
დღეებს და ღამეებს ისრუტავს ხარბად
სიმწიფის ხანაში შესული სული.

სიცოცხლე ჰგავს დროსთან დახუტობანას,
რომ ბოლოს იხილო სიკვდილი, ნავსი,
თუმც ბედის ქორწილი გრძელდება კვლავაც,
თამადამ დარდებით ავივსე თასი.

ტრფობის კალენდარი შეიქნა თხელი,
წამიერ ვნებათა ფურცლების ცვენით,
მივდივარ, მომყვება ჰანგები ძველი,
სული მაქვს უშრეტი და სავსე რწმენით.

გული გატრილია საბრძოლო ველზე
ურთიერთმოქიშპე ვნებათა გზნების.
ჩემს თავში ამ ომის მარადი ღერძი
ბრუნავს, ზედ ეხვევა ჭექანი ძლევის.

როდესაც მიწიერ გზასავალს გავლევ,
და უძღურ ნაბიჯებს ტანს ველარ ვანდობ,
წინაპრის ნათელი შუბლის ოფლს დავლევ
და მარცხის ყინულებს უბეში ვადნობ.

ერთხელაც, როს ბოლო საათის ნება
მარადისობაში გადამაზავებს,
ცივ სამარეშიაც კი ჩამოთბება,
თუ ერი ჩურთს ჩემსას კვერთხს შეადარებს.

Веха со, лелош сайн шерашца гамо,
Цара сайн деган сий ца дарна жимма.
Хала-м ду хебарш а ягарьеш Iамо
Доккхачу дуьненан хьесапан Iилма.

Кьоналла-м хиллера цхьа йоца забар
Оьмаро качьелча сан даге йина.
Цундела тедоьжна денойх цаIабар
ГеметтахIоьттина долчу сан сина.

Дахар ду заманца хьаббарех ловзар,
ТIаьххьара бIаьрг беллар валар а долуш...
Цкъа хIинца-м доьдуш ду сан кхиэлан ловзар -
Со цигахь тхьамда ву хьаштийн кад молуш.

Азьелла ягIахь а сан ирсан рузма,
Безаман мIаьргонаш — агIонаш туьлуш,
ВогIу со куьг лаьцна сайн кьоман узаман,
Син тIаьхьалонех сайн дог а ца дуьллуш.

Ткъа, дог дIаладоьгIча, аре ю тIеман:
Цунна тIехь леташ ю бIостане шовкъаш.
Сан хьиз чохь хьийзаш ю кьийсаман сема,
Шена тIе хьерчаеш толамийн кьовкъарш.

Сихачу боларна цхьа лазар кхетахь,
Когашна аьрха ца хетийта сацар,
Эшаман ша башош кхиаман четахь
Муьйлу ас доьналлин хьаьж тIера хьацар.

Цкъа-м омра кхочушдеш тIаьххьарчу сахьтан,
ДIагIур ву абаден хIордах дIаэн со.
Делахь а, дохлур ду сан шийла лахьта
Сан чуртах Iаса яхь адамийн изсо...

ღამის ფრინველნი

თითოდ აფრინდებით, ერთად ერიდებით სრბოლას,
ღამეს ელოდებით და ყვინთავთ ზეცაში, ბნელში,
მონადირეები უმალ დაგიწყებენ სროლას,
შავგულდამუხტულებს თოფები უპყრიათ ხელში.

მაინც გაფრინდებით, ღრუბელში გაკაფავთ სავალს,
კისერწაწვდენილნი სამხრეთის გზას გაუყვებით,
შეიცვლით ქვეყანას და ბუდეს დატოვებთ, მრავალს,
დარდიც თან მოგყვებათ, მასაც გამოუსხამს ფრთები.

ბედმა კამარაზე თქვენთვის ბილიკები გადო,
ვარსკვლავთა მარცვლები ციმციმა საზრდოა თქვენი,
მონადირეებმა როგორაც არ უნდა სცადონ,
ვესავ, რომ შეიძლოთ ბედნიერებამდე ფრენა.

ნისლი სულს გიგუბებთ, ცივი სინოტივით ლტებით,
მოქანცულ სხეულებს ვერ შველის ზეწარი ნისლის,
უკუნეთს მიაპობთ, ილტვით მოქანცული ფრთებით,
ჟამი-ჟამ ნატყვიარ მოძმეთა ყივილი ისმის.

Буьйсанехь олхазарш

Цъацца бен ца девлла шу тIома, жатташ ян кхоьруш.
Буьйса бен яц шуна хIаваэхь нека дан маьрша.
Бухахь бу, тоьпаш а етташ, шу чуэго локруш,
Тебна Iаш иччархой, дуьйлина шайн дегнаш Iаьржа.

Ткъа аша-м некъ бо шайн, тIемашца мархаш дIатуьттуш,
Шайн ховха легнаш а дахдина генарчу ана.
Мохк хийца дийзи шун, шайн баннаш дIатесна дуьтуш,
Царах шайн доглазар даьккхина шайцанна пана...

Стигалан аренца язделла хилла шун некъаш,
Седарчийн буьртигаш хилла шун нур догу кхача.
Шу дайъа Iалашо иччархойн мел хиларх хьекъаш,
Тоьар дац-техъа шун тIора шайн ирсе дIакхача?

Дахкаро салокцу, зIакарш тIе шийла Iаь етташ.
Хиттинчу догIмашна аьхна бац хIаваан маьнга.
Боdashлахь доьлху шу, гIелделла тIемаш а детташ,
Ца хууш, тIома кIел даш кхетта мохь болу хъаьнга...

ჭრელი ფიქრები

ღრუბლები ხანდახან გულებს მაგონებენ კაცთა,
მათსავით ისინიც არიან თეთრი და შავი.
მონობის მეურჩე მრავალი მამაცი გაწყდა,
თავისუფლებისთვის მრავალმა გასწირა თავი.

ნისლი რომ სუდარით შემოსავს დაშრეტილ წყაროს,
ხეობა ყუჩდება, ტრამალი თვალისჩინს ჰკარგავს.
პატივის დამცველთა სიმრავლით მამული ხარობს,
ღირსების გამყიდველს მტარვალის უღელი თანგავს.

ფოთლებს, შემოდგომის, მწვანე რომ შემორჩა ძვირად,
საამო სიოც კი ზაფრას და ტკივილებს ჰმატებს.
თუ გულმოწყალებას მავანი არ აგდებს ჩირად,
ის ბედის კედელში ლიბოდ გულქვაობას ჩადებს.

როდესაც მშობელ ხალხს დიდი განსაცდელი ელის,
გამცემი ავ გულში აგროვებს მზაკვრობის მარავს.
ხეზე აცოცება ნიჭია ასპიტი გველის,
მას ხომ არწივივით აფრენის უნარი არ აქვს.

ვაი იმ დედ-მამას, ლაჩრად რომ გაზრდიან შვილებს,
ყაჩაღის გამზრდელებს სირცხვილით ექცევა ჭერი,
უღირსი მონა კი ხალხს ზურგზე მოაჯდეს, ცდილობს,
როცა მის მიწაზე სისხლში დააბოტებს მტერი...

Тайп-тайпана ойланаш

Стигларчу мархашца ас дусту адамийн дегнаш
Уьш а ю, вуьйш а ду цхъатерра лаьржа а, клайн а.
Дукха бу къонахий, лоллица тлемаш берш, эгнарш
Хийла лай кхелхина маршонан латкъам ца лайна.

Лекъначу шовданте дахкаро хьарчийча марчо,
Мотт соцу боьранан, дладоду тогленан бляьрса.
Сий лардеш волчунна елало Даймехкан маршо,
Яхь юхкуш волчунна мостагичун лазап тлекъаьрза.

Баьццара оьмар а кхачийна, оьгучу гашна
Техъаьжна хаза мох лазапхо хуьлий, длахлутту.
Стаг муьтлахь ца хилахь дикаллек доьттинчу дашна,
Шен кхиэлан пенаш цо къизаллин тлулгашца дутту.

Халкъана тлекхаччалц бохаман киртигаш къаьхьа,
Ямартхо тебна ла, шен дагчохь тешнабехк хьекъаш.
Лекхачу дитта тле балало дловш туху лаьхьа
Аьрзунан санна шен тлемаш а доццушехь, текхаш.

Доьзалехь осала воі кхиар – ден-ненан бала.
Перанчин зуламаш ги хуьйшу гергарчу нехан,
Рсала лай глерта шен халкъан коьшкала вала,
Мостагичо шен махка баржийча зуламе леха....

და, მაინც...

წავიდა, შორიდან მიქნევდა ხელს,
მკერდში განშორება იარად რჩება...
და, მაინც, სიმღერა სულს მიოხებს,
წლებია რეკავს და არ ინავლება.

სამყაროს ნაღველი აწვება მხრებს,
ვიმაგრებ ღვედებით უვალი გზების...
და, მაინც, სიმღერა სალხინოდ ჟღერს,
დარდების მაგიერ წყაროა შვების.

ცხოვრების თავსხმები მითომშავს გულს,
ცისმარე ღარავს და დაადის ღვარად...
და, მაინც, სიმღერა ჯიუტად ხურს,
რადგან სამშობლოსთვის გიზგიზებს მარად.

მე არც ბედისწერა ამივლის გვერდს,
მძაღლებს რომ შევსვა ვარამის თასი...
და, მაინც, სიმღერა არ ძრახავს ბედს,
უფლისგან ებოძა ჰანგები ხასი.

მოლოდავს სიკვდილი, ნამქერით მფენს,
სულის იალაღზე ქარშეთად დაჰქრის,
და, მაინც, სიმღერა არ იცვლის ფერს,
იცის, უკვდავია ხსოვნაში ხალხის.

Хетте а

Сан безам дјабаха, ластийна куьг,
Къастаро сан кийра шен тача дилли.
Хетте а, сан дагчохъ ша етта муьрг
ЛагI ца еш, декаш ду сан ирсан илли.

Дуьненан сингаттам гибихки ас,
Сайн некъан тачанах беха муш бина.
Хетте а, зевне ду сан иллин аз,
Пелделла, латкъам беш, и хъанна гина?

Сан дог Ia дахаран догIанна кIел,
ТIадамийн тобано де-дийне огуш.
Хетте а, сан илли ца делла шел,
Даймехкан сийнна ша хиларна догуш.

ТIех суна ца баьккхи кхиэло шен кад,
ДIамалар тIедожош цу чуьра бала.
Хетте а, сан илли-м ца делла кIад -
Цунна, схъахетарехъ, ницкъ бели Дала.

Син арахъ гIаттийна мIаьргонийн дарц,
Iожалла тIегIерта, синтем а бууш.
Хетте а, сан илли шек дIа а дац,
Сан халкъан изсехъ ша лийр доций хууш.

ჩემი რაშები

ჩემი დღეებია რაშები, სარბოლზე სიცოცხლის ჩემის, როდესაც წელიწადს ვასრულებ, ახლისკენ იწყებენ სვლას, და თუმცა გახლავართ პატრონი არც ისე პატარა რემის, ვინ უწყის რამდენი წრე დამრჩა, ან რაში რამდენი მყავს.

თეთრონთა ფლოქევებით გათქერილ გზებზე სიხარული რჩება, ზერდავთა აწყვეტილ ჭენებას ნიშნად სიყვარული სდევს. ქურანა ცხენებით სრბოლისას სუყველგან სიკეთე მხვდება, რახსი ბედაურის დანახვა ვილაცას ღიმილსა ჰფენს.

ხანდახან პირველთა რიგებში ჩნდებიან რაშები ნისლა, მიჰქრიან და მიაქროლებენ სინანულს, წყენას და დარდს, მათრახს ვცემ, სავალიც არა ჩანს, არმურში ძნელია წინსვლა, მათი გამარჯვების იმედიც ამიტომ ნაკლებად მაქვს.

რა ღირან ეს ბედაურები, სიმღერა ამაზეც მეტქმის, ეს ვალად მომყვება დღემდის და წლები მიმძიმებენ მას. გინდაც არ ვიცოდე, რომელმა განახვანა სამზეო ჩემთვის, გინდაც არ ვიცოდე, რომელი მიკვალავს იმქვეყნად გზას.

და როცა ყველა ბედაური რბოლებში თავის ნაღს გაცვეთს, და ბედის ფანქარი, ნამღევა, გულს ვეღარ დააჩნევს კვალს, ამჯერად ვერავინ აჯობებს (და არ შეშურდება არცერთს), ბოლო დღეს ჩემი სიცოცხლისა, რაშს, ყორნის ფრთასავით შავს...

Сан дой

Сан денош дой ду, уьш ца лебаш хохку ас дахаран араьхь.
Шо-гуо чекх мел бели, керланиг кхин болон уьш кийча ду.
Пехьачу реманан да волчу суна а-м хало ду ала,
Маса дин хир бу сайн берриг а, бисинарг маса гуо бу.

Клайнчу дойн бергаша хлост динчу некъашца — сан
хазахетарш.
Иожа дой толаме кхачаран билгало — безаман кхаь.
Расха дой бахъанехь дикачу нахаца со цхъаьнакхета.
Борачийн толамо, оьшшучохь го дина, велаво цхъаь.

Хьалхарчу могоарехь сираниш нислуш а меттигаш йогу.
Цаьрца ю сан гайгла, сан дагахьбалламаш, даг чурьа вас.
Царна шед етташ со челахчу дахарлахь некъ ца гуш вогу —
Цундела со церан толамна кхин башха тѳера а-м вац.

Буьззина мах хадош, ца ваьлла сайн дойх со довха дош аьлла.
И алар, шераш дѳа мел кирчи, ша дазлуш сан декхар ду,
Цахаарх, муьлха дин хьалха а баьлла, со дуьненчу ваьлла,
Я иштта, муьлха дин тѳаьхьа а бисина, дѳакхелхар ву...

Уггар а хьомечу дойша дог ирсе деш шаьш долчу ден,
Дехкина бѳиллигаш дѳаяздеш, артбелча сан кхиэлан кѳолам,
Ахьа а боккхур бу цхьа а шех ца хьоьгу хьайн кѳиза толам,
Хьаргланан тѳомал а ѳаьржа дин — дахаран тѳаьхьара де....

ჩემი სიმღერები

როდესაც სალესავს ჩავლილი საუკუნისა,
წარვტაცებ სამყაროს, რათა ზედ ავლესო სიბრძნე,
ჩემი სიმღერები, ვითარცა მარცვლები მზისა,
გულზე ითავთავებს, ყველა ხოდაბუნის ჯიბრზე.

როდესაც ერთურთის მოშუღართ მივეშველები,
რათა შევარიგო, ვაქციო მეზობლად ნდობის,
ჩემი სიმღერები, ამ გულის ბურბუშელები,
ვითარცა ასკეტნი, ილტვიან კოცონში ტრფობის.

როს მოაკარკაცებს მნათობთა მოვერცხლილ თავლას,
ქარი გამარჯვების მოესალბუნება სმენას,
ჩემი სიმღერები, პირმშონი მწვერვალთა თოვლის,
გულს წარიტაცებენ, ჰმატებენ სიკეთის რწმენას.

როდესაც ვიპოვნი სიტყვას, ნაოცნებარს მარად,
და იგი თვალდათვალ იზრდება, სიმწიფე შეენის,
ჩემი სიმღერები, სთველის ფოთოლცვენის დარად,
პოხავენ ნიადაგს ჩემი მშობლიური ენის.

როდესაც მიკრძალავს მიდევენას გულგრილი ყოფის,
ხსოვნა ეხეტება, ტეიპ რიგახოის* ეძებს,
ჩემი სიმღერები, რაშები საწესო დოლის,
თავს თვლიან მოვალედ – ნატვრა გაულალონ ჩეჩენს.

როდესაც ზნეს ჩემი ხალხისა ვიქარგავ სულზე,
დავწნებავ საქმებს მამა-პაპეული წესით,
ჩემი სიმღერები, ნამები ხასხასა მოღზე,
ბრწყინავენ კოშკებში კერიის ჩინჩხალთა კვესით.

როს დროის ქარაფზე თავის შეკავებას ვლამობ,
და ვცდილობ, რომ ხსოვნა იყოს უწინდებურ მკვეთი,
ბლავიან შორეთში** დარჩენილ საფლავთა გამო
ჩემი სიმღერები, ირმები ჩეჩნეთის ტყეთა.

* ტეიპი რიხაგლი – ჩეჩნეთის ერთ-ერთი თემი

** იგულისხმება შუა აზიაში გადასახლებულები

Сан байташ

Дуьненан буйнара бешеран аьлха
Яккхяхь ас, ирдан сайн оьмаран хьекъал,
Сан байташ, хлуш санна токхечу маьлхан,
Длахлуьтту сан деган ардаш тлехь хьекъа.

Со юкьаглюьртича шеконийн девнна
Царалахь машар бан тешамна гергахь,
Сан байташ, чийш санна, дог хьокхуш девлла,
Халбата ховшу сан безаман цлержахь.

Мархех длацандина седарчийн хьавьда,
Маршонан мох беъча сан лерехь бека,
Сан байташ, хиш санна, лам бешаш хьавьдда,
Диканца зиэн глрта сан деган нека.

Дош суна карийча хинццалцца хьегна,
Блаьргашна ган а гуш, и даьлча анда,
Сан байташ, глаш санна гуьйренца эгна,
Кечло-кха сан меттан саз-латта хьандан.

Бендацарх дин дина лар суна доьхкуш,
Иэс даьлча Ригахойн клотара леста,
Сан байташ, дой санна мохк мел бу хохькун,
Хьакь хуьлу нохчочун дог-ойла хьеста.

Са тоьгуш сайн кьоман амалан теца,
Пуллакхаш тоьхча ас гиллакхийн кепа,
Сан байташ, тхиш санна баьццарчу бецан,
Баьвнаш чохь яьгначу серлонгахь лепа.

Со хенан букарчу басах чушаршахь,
Цхьа а церг арт ца еш сайн иэсан херхан,
Сан байташ, сеш санна Даймехкан варшахь
Пум-Азехь дисинчу кешнашка гьергга...



გული მამულისა წეროთა ნაზმით* გაძაგრულა,
კაცთა საფიქრალში ეს ჰანგი ჩაწნულა წელსაც.
მისი მასმინარი სიცოცხლის წლები დაზაფრულა,
თვლემენ და ყლაპავენ ყველა მისწრაფებას ჩემსას.

ფოთოლმა ცვენისას შრიალით სიჩუმე მოჩიჩქნა,
მიდამოს მოქარგავს ჭრელი საჭურველი მათი,
ცის ლურჯი კამარა აწ უკვე ფერია მოჩიჩხო
და იმ შუბლს იჭმუხნის, სადაც ელვარებდა მნათი.

ღრუბლებმა მტირალ მზეს სისოვლე შეუშრეს ლაწვიდან,
ცის ცრემლის შესრუტვით შექნილან კუშტი და მკვრივი,
საავდრო ფიქრებო, თქვენი ლოლიავი არ მინდა,
უკვე თავს მახებრებს ეგ საბრალობელი კრინი.

ისე ცრის, იფიქრებ თავგებმა დაღეჭეს კევები,
რძიანი ნისლისთვის მთისძირმა მოწველა კალთა.
სასწორმა სთველისა აწ წონოს სულ ქუფრი დღეები,
მის პირქუშ პინაზე უცხოდ ჩანს სხივი ამ თვალთა.

ბუნებავ, აბა შენს წიაღში დარდს როგორ ვუწამლო,
თუ შენთვის მთავარი სიცივის სამსხვერპლო ხდება?
მცირე ხნით უარყავ ეგ საპირწონენი, უსალმო,
როცა პარტახდები, თვალიც ხომ ნახევრად კვდება.

ქართ დარწიე ჩემი სიხარულის ჰამაკი,
მფრინავ აბლაბუდებს რომ მოუქსოვია ჩემთვის,
თავზემთ გიპყრია მარადი ცის ქოლგა, ზაბაკი,
გინდაც ფერნაცვალი, მაინც სასურველი დღემდის.

ამ სულის თვინიერ საკვები გექნება ნაკლულად,
ბალახის სიყვითლეს ნისლის სიმარმარე ერთვის,
გული მამულისა წეროთა ნაზმით გადაგრულა,
მალლით რომ გვაპყურა ცვარ-ნამი ნათელი სევდის.

*ნაზმი – ჩენური ხალხური ნამღერი

Даймехкан дагна гел хыйзайо гаргулийн назмано.
Адамийн ойланех шар-шарахь юцалуш ю и.
И шайна ма-хеззи, сан шераш боларна даз ма ло,
Набарна оьгу уьш, сан лалашонаш а юий...

Гаш оьгу, шабарийн белашца гуо охкуш тийналлин,
Шайн кьорза барзакъаш лаьттахь а муха тов хьажа.
Баьрг баса баккхарал совнах шен баьрлачу сийналлин,
Стигало-м хебадо тлехь маьлхан нур даьгна хьаж а.

Мархаш ю- билхина маьлхан баьрг бакъабен йовлакхаш.
Уьш хинца баьрхиша язйина, ай ма-ллу ю-кха.
Йочане ойланаш, со везачо шу ма йойла-кха,
Со-м хыйза вой аша, коьрте а хыйзаш юкь-юкья.

Дехкаша нох дохуш санна ду шур-щур дар дерзано...
Дохк муьйлу лаьтто – ша лам оьзна, яккхина шура.
Кхоьлина денош бен ца уьйзу гуьйренан терзано,
Ду иза сан баьргийн нур оза ца дашшал кура.

Хьан хлуонехь хлун алий, даккха ас сайн ирсан самукья,
Тлехь-тлехья шийлачу хаспашка марзделла лалам?
Генна дла кхийсахья глайланан герканаш цкъа мукья,
Хьо чланадоллушехь горбоьду сан баьргийн тлалам...

Мехашца техкабеш гаьнгаги сан хазаетаран,
Хаахъа, буй иза аса хъайн сеаларх бина.
Ахь суна тIехула лаьцначу стигалан четаран
Бос мухха белахъ а, аьхна бу даим сан сина.

Сан са бен хъайн кхача бацахъ, и ца бүүш, аз ма ло,
Дахкарла хьерчаеш мажъелла хъайн бецийн чуйраш...
Даймехкан дагна гел хъийзайо гIаргIулийн назмано,
Сирлачу гIайгIанан хих йохуш адамийн уьйраш...

მთვარის კვერი

გრიგალს, მძვინვარს ძუ ლომივით, ბუქი აუძვრია,
არდაბაგზე ყინვის ბისტი ჭანგით დაღარა.
ზეცას ღრუბლის ცხავში თოვლის ფქვილი გაუცრია,
ეზოს გობში მოუზილავს ცომი ქარქარა.

ბინდბუნდისპირს გაბრტყელდება უმი კვერი მთოვრის.
ღრუბლის წნულში, ვით ბუდეში, ორთქლით გადგება,
ქარის ტყავი მაგვანია დაჭირხნილი თოვლის
და თვალეებში ყინვის ბისტი პატარავდება.

მე სავახშმოდ ვემზადები, კერას შემით ვავსებ,
მთვარეს ახლადგამომცხვარი პურის სუნს სდის.
და, საკვამურს კვამლის ჭოკით დავაღირებ ცაზე,
რომ როგორმე მისი კვერი ჩამოვავდო ძირს.

და, უმაღვე გავიგონებ მუნათს, გულისეულს
— მთვარის კვერის ჩამოგდება მოგინდაო რად?
დედაშენმა ის შესწირა მასკვლავებს, დამშეულს,
ოჯახისთვის განსაცდელის ასარიდებლად...

Беттан хьокхам

Дарделлачу лосьмах терра, дарцо мIараш туьйсуш,
Цистина сан коре лаьцна шан пардонан кIай.
Ткъа стигало мархийн цецах чекх лайн дама луьйсуш,
Кху сан кертан бога дуззуш, бод биллина кIайн...

Пхьуйре юлуш кийча хир бу буьйда хьокхам беттан.
Мархийн цецахь, бенчохь санна, цо Iаь еттар ю...
Дорцан цIока Iуьллуш хир ю, луо а хилла детта.
Кху сан коран бIаьрга лаьцна кIай а жимлур ду.

Со а хир ву пхьор дан дагахь, пеша дечиг туьллуш.
Ялтин мерза хьожа сунна баттах йогIур ю.
Тхайн туьнкалган буйна кIуьран беха гIуркх а буьллуш,
Беттан хьокхам кхерчан цIерга божон гIуртур ву...

ТIаккха сайна даго довдар схьахезар ду шера:
«ХIунда гIерта беттан хьокхам хьо чубожон, хIай?!
И-м хьан нанас шен доьзалан синмаршонна тIера,
Мац ма-делли, седарчашна хьалха буьллуш ба-й...».

შემოდგომის ჩანახატი

მოკამკამე სარკეს ტბისა მოსავს თალხი ჭარმაგი,
აღარ მაფრქვევს სულზე შხეფებს დაღეწილი ტალღისა.
ხის ტოტებზე კონწიალობს დაფხაული ჰამაკი
არმურის რძის გასაწური აბლაბუდის მარლისა.

აქლემივით ზვინები და გათიბული მინდვრები,
ნაქურჩალით მოფენილი მშვიდი ეზო-კარები,
კატკატები, სასიმინდის უცოდველი ქურდები,
ღობებში მოსტეინარი უხალისო ქარები.

გზა მოელის ძანძახ წვიმებს ნაურმალი პეშვებით.
მხეცებს ააფორიაქებს განძარცვული ტევრები.
შორს, ციბოლოს წასაშლელად, ველზე ბინდი ეშვება,
წეროების გვრინზე ღრუბელს ეძალება ცრემლეები.

ცის გეჯაში ღრუბლის გრია სარეცხივით გროვდება,
მქისი, ქუში, აგერ გუშინ გაგებული სატინად,
სოფელს მიღმა იფქლის ყანა ავ ამინდს ელოდება,
გლეხებისგან განწირული ყინვების ასატანად.

აიტაცებს და ჩემამდე მოაშვავებს ლემადე
ფოთლებს, მტკნარებს, ფერმიმქრალებს, ჩემი სულის სადარებს.
საცა არის მესტუმრება სთველი ოცდამეთათე
და სიცოცხლე გულზე კიდევ ერთ ხნულს გადამატარებს.

Гуьйренан аматаш

Дошан базе дирзи хинца юман сирла аьнгаги.
Тулге отуш, цинцийн гаьргаш ца етта цо сих кхин сан...
Диттийн гаьннех лохха кхозу мехийн чорда гаьнгаги —
Дахкаран клайн шура луйтту гезгамашин хинкиса.

Къена эмкалш санна, лаьтта цанахь элан холанаш.
Хьаьжккеш тилош хилла меттиг гойту лойдгийн нехаша.
Доьрчаш чуьра ялта идош, члепгаша до «къоланаш».
Хьокхийн кертан цергаш малъеш, шакарш етта мехаша.

Дерзанна кел лаца кийчча некъан хоршан кана ю.
Акхароша орца доху, чанайолуш хьун гина.
Кхаш тлехь когабуьхьар хлуйтту, хала къаьсташ, анаюх.
Тийжа евла, гларгулеша мархийн бляьргаш тундина.

Йитта кечъен бедарш санна, дло стигалан боганахь
Юхкуш ю и морса мархаш — хилларш клада чилланал.
Гой-те царна, бобер санна, гийла луйллу охана,
Ахароша векалдинарг лаьнан дера чилла лан...

Панийн можа оьла махо сайн когаш кел кхьоссича,
Суна иза сайн син заза ду ма члогла моттало...
Ткъе итталгла хлара гуьйре кху сан керта йьоссича,
Кхин цъха харш а тосу-кх даг чу сан оьмаран готано...

დედის საწოლიდან წამომდგარს ადრიან დილით,
ფეხებს ეხუტება იმ დღეს გასავლელი გზა,
როდესაც ვიღვიძებ, სალამს მომაგებებს ღიმილთ,
მომიხმობს – მომყეო, მენდეო, ვარ შენი ძმა.

ღამით კი, ძილი რომ გიამებს დაბეჭილ ქუსლებს,
დაღლილი კარგახანს არ შეეპუება რუღს,
დედის თმას ჩაეწვნის და გარიჟრაჟამდე უსმენს
მის ლოცვებს მხურვალეს, შვილის დასაცავად თქმულს...



* * *

Сан ненан меттара сатоссуш хъала а Готтий,
Сан когех хъарча некъ — дийнахъ сан бан безаш берг.
Ткъа, самаволлушехъ, соьга цкъа хъал-де а хоттий,
Со кхарста кIамво цо, хуьлий сан боцуш ца терг...

Ткъа, буса, набаро хъаьстича сан зийза кIажаш,
Мел чIогIа кIадбаларх, шен хеннахъ ца буьжу дIа:
Хъестарца, царех дIахотталой, сан ненан кIажарш,
Со ларвар доьхучу доIане ладогIуш Iа...

მე წილად მერგო, რომ ერთხელაც ვიხილო სთველი,
ტყეში ვეხეტები, ვაბიჯებ ხალიჩას ტრელს.
გადამფრენ ფრინველებს ისევ გავაცილებ მშერიტ
და, ასე მგონია, ვაცილებ საკუთარ წლებს.

საცაა მიწყდება მათი გულსაკლავი გლოვა,
და მალე თავადაც მიეფარებიან მთებს,
დაგვიბრუნდებიან, როცა გაზაფხული მოვა,
მაგრამ მათთან ერთად ვინღა დამიბრუნებს წლებს.

ასე აბრუნდება ალბათ ამ ცხოვრების ჩარხი,
გაზაფხულის ნახვა არ ელის აღარცერთ წელს,
ამას მიდასტურებს ზეცის კაბადონი თალხი,
და კუშტი ღრუბლები, დაუფლებულები მზეს.

* * *

Кхаж баълла керлачу гуьйрене кхин цкъа-ъ ладогла,
Со хуьнах лелаш ву, кьорза куз когашца хуьйш.
Мохк хуьйцу олхазарш ма-гиннехь, сайн шерийн могла
Сийначу стигалахь хетало царах длауьйш.

Белхаме и абзнаш дладайча льмнашна тлехьа,
Цлехъанчу ойлано кхетамехь кхуллу-кх цхьа вас:
Блаьсте ма-яьллинехь, олхазарш доьрзур ду цлехьа,
Амма сан дладахна шераш кхин схьадогтур дац.

Хетарехь, иштта сан дахар а длагтур ду хецна,
Дуьненан майданахь шозлагла блаьсте ца гуш.
Члагдо и стиглано — лепачо сира бос эцна,
Мархаша — длаляьцна лачара сан маьлхан глуш.

ნაღვლიანი ფიქრები

სოფლის სასაფლაო ბავშვობის დროინდელს არ ჰგავს,
ათობით ახალი სამარე მიება ძველს.
თოხი სიკვდილისა სხეულებს დასდევს და მარგლავს.
ფხიზლად უთვალთვალებს სიცოცხლის ხოდაბუნს, ჩვენს.

ოდესმე გატყდება ჩემი ბედისწერის თასი,
უეცრად გამიწყვეტს ლამაზი სიზმრების ძაფს.
სიკვდილის ანბანი ვისწავლე სამარის ქვაზე,
და ჩემი ანდერძიც უკვე დასაწერი მქვს.

საფლავთა სიჩუმემ ფიქრად გატაცება იცის,
რადგან სასაფლაო სიცოცხლის ნაკვალევს შლის,
სხეული იქცევა უგემურ საკვებად მიწის,
სული კი იქცევა სანუკვარ ნუგბარად ცის...

Сингаттаме ойланаш

Де-дийне шорлуш ю кхелхинарш длабухку меттиг:
Ширачу цхъанна тIе кхетта го итт керла каш.
ДогIмашлахь асар дан кIад ца ло Iожаллин метиг,
Цо даим тидамехь латтадо дахаран кхаш.

Мацца а каг ца луш Iийр яц сан кхолламан кхаба,
ЦIеххъана хадош сан дахаран исбаьхъа гIан.
Беллачийн чарташ тIехь Iамадеш Iожаллин абат,
ТIаьххъара весет дан кечвала дезар ду сан.

Сих-сиха кешнашка вогий, со оЙлаеш лаьтта:
ХIоккхузахь йовр ю-кха дахаран тIаьххъара лар.
Хир ду-кха сан дегI а — чаьммаза кхача кху лаьттан,
Амма сан са хир ду — стигланан мерза даар.



აკვამლულ ცისკიდეს ომის დასდებია ფერი,
ტევრები გიზგიზით ხვდებიან სისხლიან წვიმებს.
აქცევს ნახანძრალად კერიებს მძვინვარე მტერი,
მგლოვარი დედები სუდარებს უქსოვენ შვილებს,

სამხედრო გზის ქვები რწყულდება წყაროთა ხსოვნით,
თავისუფლებისთვის ცვარ-ნამი კორდებსაც ამკობს,
მიწყვი იძაბება საბელი, ნაწრთობი ბრძოლით,
ჟამთასვლა მახვილად ჰაზავათს* უღერებს დამპყრობს.

მთებშუა ქროლაში ექოს გასჩენია ხრინწი,
მამათა მამულში მტერს გაულაღია, უძღებს.
წინაპართ კოშკები, გუშაგნი ჩეჩნეთის მიწის,
სათოფურთვალეებით გასცქერენ გმრობის ფურცლებს.

* ჰაზავათი – წმიდა ომი თავისუფლებისთვის

* * *

Темашà лаь етташ, кIур туьйсу анайист хьейо,
Хьаннашна тIехула догIанаш цIийш хилла оьгу.
Луьрачу мостагIчо хIусамаш лаьттах дIаэьйо,
Балано тишбинчу nanoша марчонаш тоьгу.

БIаннекьийн тIулгаша мийлинчу шовданийн иэсо
Шен цинцийн сагIа ло бецашна маршонна тIера.
БIешерийн зIе латтош бехчинчу кьийсаман хьесо
ГIазотан тур оьхьуш, чехайо гIазакхийн гIера.

Лам ломе мел кхайкхи йилбазмохь бека йишхаьлла,
Ла ца луш мостагIийн арданго дайн латта хьобьшуш...
БIаьвнаша цIе йоккху кху лаьттан Нохчийчоь аьлла,
Баролийн бIаьргашца доьналлин жайнаш а доьшуш...

კოშკს თავისუფლების, გმირობის დარაჯად მდგარს,
გვერდით ჰაზავათის სიმტკიცის მეჩეთსაც ვუდგამ.
ვალად მაქვს — ჩეჩნეთი არ წავალეკინო მკალს,
ჩემს თოფის კორაზე მტრის საფეთქელია მუდამ.

ხსოვნაზე პაპისა დავაპობ სიმღერას ძველს,
სულში შევუკეთებ, რათა გავალვივო ლოცვა
და სიტყვა ყოველი დაიკრავს ოქროვან მწკერს,
უფლის მოწყალებას გალობას აღვუვლენ როცა.

თუკი რამ რიოში შებღალავს თუნდ ბგერას ერთს,
სიმართლით ჩამოვბან, რათა წკრიალებდეს ჰანგი,
და რაკი ვუმღერი სამშობლოს, დედას და ღმერთს,
არ ვჩქარობ სიტყვის თქმას, რომ არ გავაყოლო ჟანგი.

* * *

Маршонан блов латтош турпалчу кыйсамна хехь,
Газотан дин кхайкхо дутту ас добыналлин маьждиг.
Нохчийчоь ларъяр а цундела ду суна тӀехь,
Бекхаман биргане лъоцуйтуш мостагӀчун бӀаьштиг.

Дайн изсан гоьрга тӀехь даьккхина назманийн дос,
Син кхерча тохкуш, ас бохбина сайн суйпа кхетам.
ХӀора сайн доӀане эцийти ас дашо бос,
Оьмаран йохаллехь хестабеш Делан кӀинхетам,

Хьаьрка тӀе, элпа тӀе хьоькх лаца ларийна стих,
Бакъдолчун хих йоккхуш, вийлла со даим а хене.
Дош гал ца далийта, со цкъа а ца велла сих
Байташца къамел деш Даймахке, нене, дуьнене...

სთველმა გაუხუნა ბუნებას პეწი,
მოთენთილ ბალახში ზღარბუნა ზის,
რუხი ცის ტრფიალით შენ გული გეწვის,
სხვას კი უღიმღამო ჰგონია ის.

ფოთოლი ცვივა და ტევრს მატებს სივრცეს,
ლოცულობს ტირიფი, ფშანთან რომ დგას.
ზღაპარი სთველისა წამკითხველს იწვევს,
თუმც განა სუყველა ჩასწვდება მას.

სიცოცხლე წამია და პეშვი ვნება,
შევსვამთ და არყოფნას შევუღებთ კარს...
სამყარო ხვალ უფრო გალამამდება,
თუმც ბევრი ბოლოჯერ შეჰყურებს მას...

* * *

Иаламан куц даьккхи гуьйрено баса.
Екъа буц кегаеш, лелаш ю зу.
Сиръелла стигал ю дог хьаош хаза -
И ирча хета берш мел дукха бу...

Паш оьгуш, боьлак а хетало шуьйра,
Дак хьоьжу оллалой шовданна чу.
Хаза ду гуьйрено яздина туйра -
Цуьнах ца кхета берш мел дукха бу...

Ткъа дерриг дахар ду цъа шовкъийн кана
И мелла ма-девлли, вай дIагIур ду.
Дуьне мел хазлахь а таханчул кхана -
И ца гуш буюсу берш мел дукха бу...



მიწის მიურიდები

თბილი ქვეყნებისკენ ფიქრი უფრენია წინ-წინ
შემოდგომის ცაზე მოზარე წეროთა გუნდს.
სუყველა მათგანი რომ არ დაბრუნდება, ვიცით,
თუმცა კაცის გული ამაზე ნაკლებად წუხს.

პირიქით, საერთოდ აღარც გვეხსომება, ოდეს
ყვითელი ბალახი მოიდებს რთვილსა და რულს,
არც კი გავიოცებთ, ნაწილი უკან რომ მოდის,
რადგან სივრცეებზე ოცნება დაუჭკნა გულს.

სვე-ბედის ჩაბეჭვა ზენამ მისებურად იცის.
სილალით დღეს წეროს კაცთაგან განა ვინ ჰგავს,
თავსაც არ ვუტყდებით რომ ვართ მიურიდნი მიწის
და მხოლოდ სიზმარში თულა ვესტუმრებით ცას.

Лаьттан мурдаш

Бовхачу мехкашка д'акхача лалашо лоций,
Парг'улийн жатташа мархашлахь узамаш бо...
Хуушехь вайна уьш ерриш а ц'айоьрзур йоций,
Цхьана а шарахь вай лодика церан ца йо.

Мелхо а, ойланза сов атта царех д'акъаьста,
Гуьйренан шелоно бацала к'лац юьллуш к'лайн.
Я цец а ца довлу уьш юха яьхкича б'лаьста:
Стигалан л'аьршашка сатийсар партал ду вайн.

Маьршачу парг'улийх дац-кха вай цуьрриг а тера.
Шатайпа дуьйцина Дала вайн кхолламийн тай.
Вай Лаьттан мурдаш ду, дацахь а вай цунна кьера,
Наггахь вайн г'енашкахь мел т'лома дийлахь а вай.

ჩემო მოგონებავ, გრაგნილო, სალბუნო გულის,
თუმც ბწკართა სიმწყობრით არც როდის აამებ თვალს,
რას ვეძებ, როდესაც ვფურცლავ შენს დაცრეცილ გულანს,
მის გრემა ფურცლებზე ნაწერი ძლივასლა ჩანს...

ჩემო მოგონებავ, საბალნევ გონების ჩემის,
რარიგად მაგონებ ოცნების გატკეპნილ ავლს.
რატომ ვჩხრეკ, რად ვეძებ შიგ მწვერვალს ბედნიერების,
თაიგულს, რომელიც ოდესღაც ვაჩუქე ქალს?..

ჩემო მოგონებავ, შენა ხარ ამ გულის შგება,
უნდა განუდევნო სნება, რაიც მიწყვიტ ჭამს.
შენშია ყოველი ვნება, რაც მეამაყება,
რაც მეძვირფასება წარსულ და დარჩენილ ჟამს...



* * *

Сан дагалецам, хьо – жайна ду сан ойла тееш,
Дацахь а хьобстуш хьайн моганийн къепенца бӀаьрг.
ХӀун лобху техьа ас, ширъелла агӀонаш хьееш,
Кехатан совра тӀехь къаьсташ а ца хилча хьаьрк?

Сан дагалецам, хьо – мохь бу ас гитобхна бахьаш -
Яьгна дӀаевллачу сайн дегайовхонийн кӀурз.
И кегош, ас хӀунда лобху те сайн ирсан бахьаш,
Цкъа мацах езаче кховдийна зезагийн курс?

Сан дагалецам, хьо – сан деган чов ерзон динберг -
Хьо цуьнан дарба ду дуьненчохь доцуш ца терг.
Хьобца ду сан хилларг, со велла дӀаваллалц хиндерг,
Дерриг а тахана ас сайца лалашдеш дерг.

ნოხნიღნო

ნოხნიღნო,* გაიგებ ჩემს ჩურჩულს,
როდესაც წასვლის დრო დამიდგება.
სიჩუმეს შევერთვი, გლეხის ხნულს
ოხშივარივით რომ აღინდება.

როდესაც დამფლავენ, მავი ცა
საფლავზე ტირილით ჩამოწვება.
სიმღერა, ვერ გითხარ რაიცა,
ბოლო ამოსუნთქვას ამოჰყვება.

მშვიდად და ჩუმად გაგეცლება
ეს მკერდი, ბოლოჯერ განაძგერი,
ჩურთად** კი ცად მთვარე მექნება,
მიწაზე — პირქუში კლდის ნაჭერი.

ოღონდ ეს სიჩუმე მადარდება,
თან ჩავიტანო თუ მივცე ფრთები?
მე ხომ ის აქამდის თან დამდევს,
მხურვალე ნაფიქრით ნაფერები...

* ნოხნიღნო — ჩენეთი ჩენურად

** ჩურთი — საფლავის ქვა

Нохчийчоьне

Нохчийчоь, Нохчийчоь! Хьуна а
хезар ду сан шабарш, со кхелхаш дӀа.
Гур ду уьш ахархойн кхаш тӀера
гӀаьттинчу тийналлин лаьнарх дӀаийна.

Со лаьтте кховдош, шен бӀаьргаш а
тӀунделла лаьттар ю хьан стигал сийна,
Хьобх лаьцна яздина сан иллеш
доьлхур ду, ас доккхуш тӀаьххьара са.

Юдика хьан ярца, тӀаьххьара айделла
дӀатуьйр ду сан некхан ваз.
Стигалахь бутт хир бу сан чуртан меттана
ткъа, лаьттахь – хьан ломан гӀайракх.

Мархаш тӀе уллур-те я коша хьор-те ас,
Даймохк, хьан тийналлин байракх?
Хаалахь, и ярий куьйгаш тӀехь лелийна,
ойланца хьистина ас.

ცის ყელზე ფარღულად შეაბა სთველმა
სამხრეთით მიმავალ წეროთა დასი.
ქსელებს ფოთოლცვენა ეაღერსება,
ნუსხავს მათეული ლამუნი ნაზი.

ნიაჰმა ფოთლებით თამაში იცის,
ფოთლებზე მკითხაობს მომავალ დღეებს,
ფილტვებს ამოივსებს ოხშივრით მიწის
და სტვენა-სტვენაში აშიშვლებს ტყეებს.

უმზერს საფრთხობელა ნამკალის ცეხვას,
ბეჯითად გადათვლის სიმინდის კონებს,
მოსავლის ალებით მოქანცულ გლეხებს
ვახშმის დროს ხშირბინდი თუ მოაგონებს.

რწმენას გამარჯვების ინახავს ხსოვნა,
თავისუფლებისთვის მებრძოლი გონის,
ხალხს გამოცდილებამ არგუნა ცოდნა,
რომ თადარიგი სჯობს ზამთრის და ომის...

* * *

Юха а оьрки-кха стигална коча
Можачу гуьйрено гарглулийн туьтеш.
Падожар долало къамел дан коча
Хлаваэ, буьттуш шен туьйране пуьташ.

Паш ловзон тIера ду карзахе мехаш,
Цаьрца шайн хиндолчух лаьцна пал туьйсуш.
Гаьнарца дусуш шайн «хьаз-хьиз» ден пехаш,
Хьун чIанаяккхарехь хьалхе а къуьйсуш.

Мунда ю тIаламе блаьрг бетташ хьаьтта,
Юх-юха дагардеш бешара цIевнаш.
Маьрклаже тIекхаччалц диллина лаьтта
Ялта чудерзочу ахархойн кевнаш.

Иэсехь дIа ца бойтуш толамах тешам,
Ша куьйгаш кховдийча маршонан малхе,
Сан къоман амало зийна ду: кечам
ТIамна а, Iаьнна а бан беза хьалххе...

მარტოობა, ბერი დედა, ცრემლი და სამარე –
ჩენისათვის ეს სიტყვები არის მეტად მწარე.

ბინდბუნდი რომ მოხშირდება, სევდა თან მოჰყვება,
ვილაცისთვის მარტოობის მწუხრი ჩამოდგება...

ლოცვის პეშვი ხსოვნის ჩინჩხლით როცა გაჯერდება.
სადღაც უხდის დროს უმძიმეს ხარკს მოხუცი დედა.

ასობში, რომ კინძავენ ბწყარებს, მოტირალებს,
დახედე და ამოიცინობ აცრემლებულ თვალებს.

ჩურთის შუბებშემართული დგანან საფლავები,
წიაღში რომ შეუბოჭავთ ჩვენგან წასულები.

მიმწუხრისას საფლავის ქვას დაჰქვითინებს დედა
და იღვრება ცხარე ცრემლი ცივსა ქვასა ზედა.

Ц х ъ а л х а с у њ р е , к њ е н а н а н а , б о њ л х у б љ а њ р г а ш ,
к е ш н а ш -

У њ ш д у н о х ч и й н м е т т а н у г г а р с и н г а т т а м е д е ш н а ш .

М а њ р к љ а ж е н а н б о д а б о г љ у , г љ а й г љ а я л о ш у њ р е -

Х и р ю ц у њ н а х ц х њ а н н а д у њ х х њ а р л е р а ц х њ а л х а с у њ р е .

И ѡ с а н м љ а њ р г о н а ш ц а ю з у ш ш е н д о љ а н е к а н а ,

Х и р ю ш е р и й н г љ у д а т о к х у ш х и й л а к њ е н а н а н а .

Т и й ж а м а ш а љ а м и й н а ч у м о т т - љ о з а н а н х њ а њ р к а ш

Х е т а д и к к а о й л а љ и ч а г љ и й л л а б о њ л х у б љ а њ р г а ш .

Ч а р т и й н г о њ м у к њ а ш а к а р а х њ л а њ т т а ю њ р т а н к е ш н а ш ,

Ш а й н а б у х а х њ к е п а т о њ х н а м а њ л х а н л а т т а х ѡ е ш н а р ш .

К о ш а н б о р з а н б у к њ т љ е х у л а б љ а њ р х и ш о њ х у ш љ а н а ,

Х љ о р а с а р а х њ к е ш н и й н к е р т а х њ љ о њ л х у к њ е н а н а н а ...



ბუნების შვილი

შხეფები ოფლისა აპკურა მთიბავის სახეს,
გზისპირ დააყენა სვეტები ბუღისა, თალხი,
ჩოჩქოლა ჩქერებში გატოპავს, იპოვნის თავთხელს,
ზაფხულის ზანზარა, სულისშემხუთავი ალხი.

შებოდილდება ეკლიან ჯაგნარში მაცვლის,
ილადრავს ფეხებს და ეძებს მრავალძარღვას სალბუნს,
მისხალი ჩეროც კი ვერსად გიპოვნია დალლილს,
არვინ ეცოდება ხვატს, მზიდან მიწამდე გაბმულს.

ბუნების შვილია, თუმცა თავნებაა ძალზე,
მშობელს ეურჩება და თავის ტკუაზე დადის.
დედებს, ამნაირთა, ცრემლი არ აშრებათ თვალზე,
გუგათა სიღრმეში აშლიათ ნისლეები დარდის.

ხალხი კი ამბობს, რომ თუ ალხი მძვინვარე ხდება,
ეს არის ნიშანი ნანატრი შხაპუნა წვიმის.
ამგვარად იტირებს ბუნება, მშობელი დედა,
ამ შეუბრალებელ სიავეს თავისი შვილის...

Іаламан бер

Мангалхойн яхъаш тіе хъацаран довха тхи дуьлуш,
Некъашца ирхдуьйглуш біогамаш сирачу ченан,
Гечонаш гомхачохъ шийлачу аьхкан хих юьйлуш,
Тов лела аьхкенан уггар а чилланан хенан.

Мангалан-комарийн луьстачу ярашлахъ лелла,
Когаш а цистина, дарбанна динбергаш лобхуш,
Са сохъ мел долчунна хіоттийна Іиндагійн къелла,
Сов къиза хьйза и, малхе ша гел ца яр доьхуш...

Іаламан бер ду и – шен ненан урхара даьлла –
Кхечу шен берашна хьалха и юьхьаьржа хіиттош.
Иштта бер мел долчу ненан а бляьргех хи даьлла,
Оьздачу йол-бляьргийн кјоргенехъ къаьхьа дохк гиттош...

Хийланна хууш ду: сов къиза тов Іеткъа ялар
Тешаме билгало юй дога кестта тедаран –
Иштта ду вайн ненан-Іаламан бляьргех хи далар,
Ла ца лой хьомечу шен беран къизаллин барам...

დრო რომ შესხლავს გულის ღივებს, მოგებული ვრჩები,
სიცილის ხმა უფრო რეკავს, აზრიც სხივსა ჰგავს,
წლების ყორღანს, ზრდად მიდრეკილს, ქიმზე ვაცოცდები,
გავცქერ, ლურჯი ცისკიდური მზერის ტყვედა მყავს.

თვალი ჩემი რას არ წვდება! ოღონდ ვერა ვხვდები,
ეს ყორღანი მარცხის არის თუ დიდების დღის,
ღრუბლებამდე რომ ავატან, სუნთქვა მიძნელდება,
დაბლა თუკი დავემშვები, ბოლო არ ჩანს ცის.

მერე რა, რომ სიმაღლეზე ფილტვებს სუნთქვა უჭირს,
მაინც ველტვი წლების ყორღანს, თუმც დღითიდღე მძიმს,
მის ციცაბო კალთებს ვკაწრავ კლანჭით სიჯიუტის,
საცა არის მოვევლები მოელვარე ქიმს...

Деган маргалш хено кхадар суна-м сане даьлла:
Велавалар зевне дуйлу, оила сирла ю.
Деба амал лаьцна долчу шерийн гу тле ваьлла,
Со-м la, баьргийн дола йохуш сийна анаюх...

Ца гуш хlун ду хlоккхузара! Гу ца хилар боккха
Эшам бу я толам бу сан хууш вац-кха со:
Буххье ваьлча, мархаш юккьехь садакхалац доккха,
Гу лахенехь парглатваьлча, анаюх ца го...

Баххийн хlуно садукъдарх а, анаюх ган хьяьгна,
Къарбан лууш хlора денна лакхлуш лаьтта гу.
Йохъан мlараш туйсуш, шерийн букар басеш аьгна,
Шерийн гунан когашкара вогlуш верг со ву!..

ვარსკვლავთა სულთათვის მნათობი ოდითგან
მთვარე, დაღალული მიწიერთ ცოდვისგან,

გულს ესაღბუნება ვერცხლის სიკამკამით,
კვლავ ჩემი მეგზური იქნება ამ ღამით.

ხუნდს განშორებისა მივათრევ კელობით,
ჯერ დაუნამავით მივილტვი ველობით.

აბზინდამ, ჩემსავით ბოგანომ განგებით,
თავისი ნაჟურით დაბანგა ჰანგები.

სიპებზე მროკველი სტაგის მეზობელი
მსურს იყოს ეს ფიქრი, შენით შეპყრობილი...



* * *

Эзарнаш шерашкахь седарчийн синошна
Бутт лепа, теш хуьлуш лаьттахойн кьиношна.

Сан добхна дог тедеш хаза а, говза а,
Нур Iенoш, цо новкъа воккху со тховса а.

ХIора гIулч мел яьккхи ког астагIлелха сан,
Буц лазош тхин тIадам шена тIехь белханза.

Сагал-буц хилла, сан са санна, хIусамза -
Шен къаьхъа мутт мийлош, кхобу цо узам сан.

ТIулгаш тIехь ловзучу шовданан иллина
Улlexь Iан лууш ю сан ойла йиллина...

გზად

არგანს პოეზიის ვეყრდნობი და ნელა
მივყვები გზასავალს სიღრმეში ჟამის.
ბილიკზე ნათელი კვალი შერჩენილა
მათი, ვინც ჩემამდე ნავალი არის.

ჩავლუჯე არგანი, ვით ტარი ხმალისა,
ჯიქურ მივუყვები იკანკელს, მლაღავს,
ტეხილზე სიტყვები, რაშები, ხალისა,
ჩემს ნაზმებს აძლევენ არნახულ ძაღვას.

გზას მისდევს უფსკრულის ხახა, დაბჩენილი,
მალლით დამხობილა წყვდიადი ზეცის.
ვადიდე მფარველი ბედ-იღბლის წერილი,
სულში ჰანგებია თავისუფლების.

ტანი დროჟამისა დავჩხვერე არგანით,
გავკვეთავ წლების ქარს, დროს ვეურჩები.
მსურს მარადისობას შევარწყა ამგვარად
ერი და მამული, მშობელი ჩემი.

Новкъахь

Воглу со, луйзуш сайн поэзин Iаса,
Бешерийн кIоргене боьдучу новкъа.
Шен изсехь латтош ю кху некъан аса
Соьл хьалха ихначийн лараш а, шовкъ а.

Тур санна, къуйлуш сайн буйнара Iаса,
Хаддаза некъ бо ас, ца оьгуш гуора,
Некъо ног тухучохь дош хьовзош ма́са,
Дебош сайн тоьллачу назманийн гIора.

Бух боцу Iаннаш ду йистошца некъан,
Со царех ларвеш ду сан лаьмнийн баххьаш.
Со воглу, хьакъдеш сайн кхолламан шекъа,
Син четахь маршонан мукъамаш баххьаш.

Тур санна, сайн Iаса бешерех Iуьттуш,
Шерех чекхвуйлу со, эшаеш зама,
Иллешца лензаллин дилханах хуьттуш
Даймохк а, со шеха схьаваьлла къам а...

ასეც ხდება

ხან ხდება – ჩაცხრება ცივი შემოდგომის ქარი,
ვარსკვლავი ღრუბლებზე მოაპნევს ციმციმა მტვერს,
ხოლო ცისკიდურის ალერსით დაღლილი მთვარე
იოცებს მასავით ქათქათა არყების ტევრს.

ხან ხდება – ზაფხულის მზე, აბეზარი და მგზნები,
დარაჯად მიუჩენს მიწას დაუნდობელ ხვატს,
ნუგეშის მძიები ჭრიჭინობელათა ხმები
გახრუკულ ბალახში გაჰფენს საბრალობელ ჰანგს.

ხან ხდება – ქარშეთი, მწვერვალთა ქიმების თავზე,
ნისლებს, ამღვრეულებს სველი ზეწარივით ჰფენს
და მოვალს ზამთარი სკივრით, თეთრეულით სავსით,
აცდუნებს ჩემს მამულს და უცვლის სამოსის ფერს.

Хуьлуш ду иштта а

Хуьлуш ду иштта а: гуьйренан шийла мох тийча,
Седарчийн жлугано мархашна хичаш йо яйн.
Медачу баттана, анаюх хьеста клордийча,
Декхнаш го боьлакахь – ша санна инзаре-клайн.

Хуьлуш ду иштта а: аьхкенан чилланан малхо
Лаьттана гларол дан хлоттайо шен кьиза тов.
Цаьпцалгийн аьзнаша, дог лохуш шайн бала балхо,
Яьгначу бацалахь даржадо латкъаме зов.

Хулуш ду иштта а: длахьулдеш ламанийн баххьаш,
Царна тлехьерчаш го тлуьначу дахкаран боз.
Iа доглу, клайн бедарш чохь йолу тпорказ а дахьаш,
Даймехкан сакламдеш хийца шен барзакъан бос...



სატევრის პირია სიმღერა ჩემი,
ჩეჩნეთო, შენა ხარ სამჭედლო მისი,
ხოლო მე ტარი ვარ, ჩამავლე ხელი,
გახადე ეს სული გმირობის ღირსი.

შენს ხელთ გამარჯვებას გავუგე გემო,
შენს ოფელში ვგრძნობ, როგორ ვახლდები მარად,
არ მსურს ამ ხაოთი კოჟრები ვგვემო,
ის მინდა, რომ ხელში ჩაბლუჯო მყარად

და როს გაუსხლტება შენს თითებს იგი,
მიწაში, ტარით ძირს ჩაარტე მაგრად.
შემინდე, შენს ჰაერს გაკაწრავს თუკი,
ნაზმი, შემართული საფლავზე ბასრად.

* * *

Шаьлтанан дитт ду сан дахаран илли.
Сан Даймохк, ткъа, шаьлта — хъан пхьалглахь йина.
Сох цуьнан мукъ а ба-й, хъайн буйна виллий,
Хъайн хъуьнарш дебадеш, ялъехъа сина.

Хъан кераюккъехь со вахана кога,
Хъан чкъуран хъацарлахь цинвелла ваьхна...
Мукъ бина коьчал мел хилахь а шога,
Теша, со хир ву хъан куьйгана аьхна.

Мацца а йожахь хъайн пелгаш юккъера
Сан шаьлта, мукъ хьалха лаьттах д'айогла,
Хъайн х'аваъ хадорна болуш къинт'ера,
Чуртана айлуш сан т'аьххъара могла...

ყრმობის დღენო

ცხოვრების ბაღს მიწამლავენ წლები,
მარცხისა და დანაკარგის დარდებით,
ყრმობის დღენო, გულში რატომ ქრება
თქვენეული უნაზესი ლანდები?

იქ, სადაც ხართ, ვინა ზრუნავს თქვენზე?
მზიან სულებს ნეტავ ვინ გიხალისებთ?
ბედის სუფრა როდი არის სავსე,
ყრმობის დღენო, ისევ თქვენ თუ ამივსებთ...

და შემრცხვება მე მარადისობის,
ხსოვნას თქვენსას დარდი თუ გაერევა.
თქვენით ვიცი, დღენო ჩემი ყრმობის,
რომ არსებობს ქვეყნად ბედნიერება.

ცელიანი ჩემს სიზმარეთს ერჩის,
მოწკრიალეს უწინ თქვენი ბგერებით.
ყრმობის დღენო, მიატოვეთ თქვენ ის,
ახლა ხსოვნას ლანდად თუ ეფერებით...

აჯანჯლარებს სნების ქარი, კრული,
ფიქრის ბუდეს, სავსეს თქვენი ხატებით,
მეურვედ კი გრჩებათ ჩემი გული,
დაცხრება და... ცაში გაიფანტებით...

Бераллин денош

Шераша якхдеш ду дахаран кхаш,
Бохамийн, эшамийн ловраш тленош.
Сан деган уйтлара шайн Индаглаш
Аш мича тийси-те, бераллин денош?

Шу лачохь хьан до-те луналла шун
Ас санна, шун маълхан синош а делош?
Бе-берса дац-кха сан кхолламан шун
Цунна тлехь шу доцуш, бераллин денош.

Со-м хетар долуш ву заманах эхь
Пайглане лелахь шу, сан лазам дебош:
Со ирсах тешийнарг кху лаьтта тлехь
Шун сирла уммат ду, бераллин денош.

Южаллин бюбанах ийзалуш ла
Аш зевне декийна сан гленийн цленош -
Уьш дуьтуш, шу хлунда девди-те дла
Ишаршца иэс хьоьсту, бераллин денош?..

Сан деглах хьерчаш ду сиркхонийн дарц,
Ойланехь аш дина баннаш а дегош.
Тлаьхьара шун верас сан дог бен дац,
И сацахь лиьр ду шу-м, бераллин денош...

ზაფხულის ბოლო დღე

ზაფხულის დღევ, საით მიაბოტებ,
ნუ ჩქარობ განზავდე ავდრებში სთველისა,
ამ ბილიკს ნუ აქცევ კალაპოტად.
შეიშნე ნაშთენი ბოლო ნათელისა.

ნუ მართმევ ხასხასა შენს ხატებას.
შეჩერდი და მიზეზს ნუ მაძლევ შფოთვისთვის.
მაშ ველარ გავიგებ გუგულის ხმას,
დარჩენილ სიცოცხლეს ბეჯითად რომ მითვლის?

ნექტარი, წიაღში ბილილებს,
ვერ გატკობს, აღარ აქვს სურვილი ამისა,
თუმც შენს რუხ სევდაში კვლავ იელვებს
ფარფატა პეპლების ყურების ხალისი.

მცირედი დრო კიდევ გაიმეტე,
კორდებს ყვავილიანს გამოემშვიდობე,
და, ამის სანაცვლოდ, გაიმედებ,
სიზმრებად შეგრჩება შემტკნარი მინდვრები...

ფერი გაქვს ავდრების, ნაადრევის,
როდესაც ქუშ ღრუბლებს ცის დერგში ამწნილებ,
თუმცა თაროებზე მოგონების
შენთვის მოვამზადე რჩეული ადგილი...

Аьхкенап т1аьхьара де

Дахлохьа, аьхкенап т1аьхьара де,
Ца сихлуш д1адаха гуйренан йочане.
Хин хоршах ма тарбе сацкъаран коча некъ,
Серлонна, йовхонна ма бетта пе.

Баьццарчу хьайн вастах ма ваккха со.
Хьуо дахлуш, хьайх хьегар цхьажимма дацдехьа.
Кхин цкъа а х1уттутан аз хезар дац-техьа,
Багарбеш сан шерийн азбелла б1о?

Хинца а марздина хетало хьо
Зезагийн кортош т1ехь кхиъначу дургало.
Хьо лобхуш къорзачу полларчийн сур гаро
Пайг1ане делахь а, хьо нуьре до.

М1аьргонийн мор буьллуш хьайн тускар чу,
Т1ехула хьовзалахь зезагийн аренна.
Айхьа бен дийр доцург ма дита кханенна,
Эсаре кховдадеш хьайн ц1ена х1у.

Ма итта хеназчу шелонан ю.
Мархаш а ма мустье стигалан боганахь.
Сайн дагалецамийн тоьллачу оганахь
Ас хьуна йитина цхьа меттиг ю.

ვარსკვლავს

ვარსკვლავო, ყოველლამ ფიქრის მიტაცება იცი,
ტკივილს მიმსუბუქებ და სევდის მკურნალი ხდები.
მზის ჩასვლისთანავე შენ ჩემთვის დაიწყებ ციმციმს,
და, გამთენიისას, სადღაც უცნაურად ქრები...

ვარსკვლავთა ნამქერში ედრები სხივოსან ფანტელს,
ჯერ კიდევ კაშკაშებს შენი შარავანდი, ძველი,
ნეტავ რად მიგზავნი ცივსა და განდგომილ ნათელს,
მე, ვინც ვარ ამ მიწის ფიორა და თბილი მტვერი.

ხანდახან ვკითხულობ — ნეტავ ცოცხალი ხარ ახლაც?
რადგანაც ნათება მინავლულ ვარსკვლავსაც კი აქვს,
რომელიც თამამად გაივლის უკუნეთს, მსახვრალს
და, გარესკნელიდან, ჩვენამდე მოაწვდენს კიაფს.

მე გაელვება ვარ, შენ გიძევს ცხოვრება დიდი,
ცოცხალ ცას ამშვენებ მაშინაც, როდესაც ცხრები,
ვარსკვლავთა გროვაში ხარ მუდამ ჩემსავით მშვიდი,
მე კი ხალხის ზღვაში შენსავით ეული ვრჩები...

Седане

Бус-буса сан ойла тейизо марзбелла седа,
Байбеш сан синлазам, ахъ говза йо суна голои.
Суйранна малх бузуш болало хьо суна къеда,
Луьйранна сатосуш дабов хьо, баьгна а болий.

Генара лепа хьан дуьне ду – цлеран дарц тома,
Ткъа, нур хьан мел сирла лепахъ а, ду чога къена.
Шийлачу шелонца хьо хлунда хьожу соь гома -
Экамчу буртиге Лаьттарчу йовхачу ченан?

Моттало сих-сиха, дийна а буй-те хьо, олий,
Седарчий делча а, серло ца ле олу церан:
Эзарнаш блешерийн боданех майрра чекхийолий,
Хета и схьайогуш есаллин чкъура юккъера.

Хьо белла иллахъ а, хьан долахъ стигал ю сийна.
Маьргонан Индага ду со хьан кхолламна хьалха.
Седарчийн тобанехъ хьо цхьаъ бу, со санна, тийна.
Адамийн пхьоханехъ со а ву, хьо санна, цхьалха...

ჩემი იმედი

ჩემს გულში სიმღერის წყარო არ იღევა,
თუმც სთველი ახუნებს ბუნების პეწს,
ყვითელი ბალახი რომ შეითრთვილება,
ნეტავ ამ სიჩუმეს მივუხვდე მეც.

ტყე, ბოლო ფოთლებზე, როგორც მარჩიელი,
გამიხრეკს, რა მეღის ხვალინდელ დღეს,
გაფრენილ ჭილყვავთა ბუდე, ცარიელი,
ნეტავ თუ გაზაფხულს დაისიმრებს.

სისხლით ნათესავი ზაფხული და სთველი
რარიგ შეწონილად უპყრია დროს.
ნეტავ წეროების ჩრდილი, დამზაფრელი,
ჩემს გულზე სევდად არ დაიღვაროს.

დღე-ღამე, ვითარცა სასწორის პინები,
მათზე საწონებად დარდები ძევს.
ნეტავ ნისლიანი და ცივი წვიმები
არ გამითოშავდნენ ბედისას თხემს.

დროის მონაკვეთებს არ ცნობს მარადისი,
იგი არ ანსხვავებს გუშინს და ხვალს,
ნეტავ თუ ცისკიდე, დამწვარი დაისით,
ამ სულში თავის ფერფლს ჩამაფერთხავს.

ჩემს ხალხს ერთგულების ფიცი რომ მივეცი,
ის ჩემს სიმღერაში სულმუდამ ჩანს.
ნეტავ თუ სამშობლო, საკუთარ ხსოვნაში,
ოდესმე ჩემს სახელს ამოტვიფრავს.

Сан дегайовхо

ЛагI ца ло мукъам сан дагчуърчу эшаран,
Гуьйрено хийцарх а Iаламан куц,
Кхетарий-техъа со тийналлех эсаран,
Детица кхелича цо можа буц?

Дахкаро мотт хьобкху дашочу хъаннашна,
Мехаша палтуьйсу, эгадеш гIаш.
Човкарчех дисинчу десачу баннашна
Генах гур дац-техъа бIаьстенан кхаш?

Замано латтайо, шех говза пхъар хуьлий,
Аьхкенний, гуьйренний юккъера зIе.
Ца тосуш ца Iар-те тобанаш гIаргIулийн
Эндаже сингаттам сан дагна тIе?

Дей-буьйсий хийцало – заманан терзанаш -
Царна тIехъ герканаш – сан хъашташ го.
Ца хабош ца Iар-те мустделла дерзанаш
Сан иэсан коьртара массо а чо?

Тахане дIаяхна селхане санна ю...
ЗIаьнаршца къагадеш ламанан дукъ,
Можа малх чубузуш цIелетта анаюх
Ца тосуш ца Iар-те сан кийра юкъ?

Халкъана тешамна ас йинчу чIагIонна
Довхачу иллеша ца бетта пе.
Даймехкан кхетаман тептаран агIонна
ТIехъ цкъа а гур юй-те сайниг а цIе?

ნოხჩის ენა

ნოხჩის ენა, ბედის წკრიალი,
და წინაპის კერა უმთავრესი,
გულის კარი მოგიფრიალე,
ავაბრუნე ჯარად ჩემი ლექსი.

შეიკედლე სული, გზნებული,
შენს სარკმელთან აკიაფებული,
რათა უფრო შთაგონებული,
იქნას ლექსი, შენი სიტყვით წნული.

მხოლოდ ბრიყვი თუ განგიდგება,
საბრალოა, ვინც შენ გეჩიშბება,
მუდამ სხვისი მონა იქნება,
მწყურვალევით ვინც არ გეწაფება.

ორგულთაგან გამეტებული,
წაშლისაგან ხალხის გული გიცავს,
ურარტუში დაბადებული,
რას დაგიტევს ნეტავ კირილიცა.

ჭირმოსურნეს გულს განუგმირავს
ჩემი სიტყვა, დარი სატევარის.
მუხლმოდრეკით შენს დარაჯად დგას
შენი ილმან, იუსუფის გვარის...

Нохчийн матте

Нохчийн мотт – сан кхиэлан мерза зов.
Дедайн кертан уггар коьрта очакх.
Хьуна доьллий латтош деган ков,
Ia co, хьийзош байтийн зевне урчакх.

Серлабаккха сан оьмаран чиркх,
ДIа ца байта, хьайн коре а биллий.
ТIаккха даим доггах декаш хир-кх
Ас хьан дешнех вовшахтесна илли...

Сонтачарна хьо хетарх а байн,
Гийла хир ву лаьцнарг хьоьца гамо.
Хир ву даим кхечу кьоман лай
Дастам хеташ верг хьо дагахь Iамо.

Цхьаболчара дехарх хьуна къаш,
Ца лелийта хьо Нохчийчохь гIоза,
Кириллицин хоне летта Iаш
Товш ца хета урартахойн йоза...

Герзах ирдо ас хьан хIора дош,
Цийла карчо хьан мостагIийн гIера...
Хьуна вецаш, баош ву шен гош,
Хьан хьадалча – Илман ЮсупгIеран.

სონეტი

ენას მივეკედლე, ზეგარდმო შემკულს,
ჩვენი ადათებიც მუდამ თან მახლავს,
ფესვები ღვარძლისა არ თანგავს ჩემ გულს
და ეჭვის ტიები ფიქრებს ვერ დახრავს.

ამ ქვეყნის სიტყვები არიან მჟღერი,
უმღერენ კაჟივით ხასიათს ხალხის.
არასდროს მიგრძენია მე მათში მტერი,
ამიტომ ეს ქნარი მსახურებს მათთვის.

სიტყვებს კი მეც სიტყვა ვგონივართ ალბათ,
ხოლო მე ისინი მგონია ხალხი.
არ მიმიტოვებენ სიმღერას ობლად,
როცა გამაცილებს იმქვეყნად თალხი.

ქედმოუხრელია სიმტკიცე ენის
და მაკურთხებელი ამ ბრძოლის, ჩვენის...



Сонет

Сайн меттан зевнечу махкахь со веха
Сай санна, оьздачу гиллакхца цхьаьна.
Ца хьерча сан дагах ачонан Iеха,
Ца бо сан ойланна шеконан нIаьна.

Кхузара бахархой – дешнаш ду зевне,
Даггара къобалъеш сан къоман амал.
Уьш соьца цкъан цкъа а ца хилла девне,
Цундела со царна еш ву сайн Iамал.

Дешнашна со а цхьа дош хета шайлахь,
Суна а хета уьш адамех тера.
Дуьсуьйтур дац цара сан илли байлахь
Мацца а дIаваьлча да цунна тIера.

Стогалла санна ду дошаман низам,
Цо хьакъво со латто харцонца кьийсам...

მომბებრდა გულის უანგარო გზნება,
ყოველი ნაბიჯის მიჩნევა ფრენად.
რად მაქვს უპასუხო კითხვების წყება,
როცა განშორების მიხდება თმენა?

მომბებრდა ლოდინის დილეგში გდება,
თავისუფლებამდე წამების თვლაში.
თუ ღმერთმა იცის, რომ წრფელია ნება,
მერმისი რატომღა მაშინებს მაშინ?

მომბებრდა წრიალი ნისლებში სიზმრის,
სიჩუმეს ნანდობი ფხიზელი რულით.
რად ვჩქარობ დახურვას ამ სულის ჭიშკრის,
თუ ეჭვებს, ვით სტუმრებს, მოველი გულით?

მომბებრდა ოცნების ხვეულთა ვარცხნა,
ძვირფას დანატოვრად შერაცხვა მისი,
ან იქნებ დრომ დარდის ისარი მტყორცნა,
რამეთუ ვარ დიდი ტკივილის ღირსი?

* * *

Кјордийна сан дагна ял йоцуш дага,
Лятта тлехь ког баккхар тлам тохар хеташ.
Къастаро тахкийча сайн уьйрийн ага,
Ас хлунда лобы-те жоп доцу хеттарш?

Кјордийна сайн цхьаллин набахтехь валла,
Маршо ган йисина маьргонаш лобыруш.
Сайн цлена нигаташ гуш хилча Далла,
Хлунда ву-техьа со кханенах кхьоруш?

Кјордийна сайн гленийн дахкарлахь лийча,
Тийналлех тешийна набаран гловла.
Шеконех хьеший бан суо хилча кийча,
Со хлунда сихло-те син ков длакьовла?

Кјордийна кьезбан сайн ойланийн бода,
Шеретан дарже а баьккхина иза.
Сингаттам секх ду-те кхолламан лодан,
Лалашо цхьаь йолуш – со лазон кьиза?

ფიქრები სიბერეზე

წლების მონდომებით დაგღარავს ნაოჭთა ქსელი,
უგლიმი სიბერე მახეს დაგახვედრებს მზას,
მხოლოდღა არგანი იქნება დამხმარე შენი
და ვეღარ გაბედავ უმისოდ გაუდგე გზას.

მეჩეთში აზანს ვერ მოუსმენ, გიმტყუნებს სმენა,
სათვალის სიმძიმე ცხვირზე გაგიტკეპნის კეხს.
სხეულს დაგიმძიმებს თანდათან ათასი სნება,
და დრო, უღმობელი, რკალივით გაგიდრეკს ქედს.

ხოლო ყმაწვილები შორით მოგივლიან, რადგან,
ჭკუის დარიგებას უფროთხიან, სასმენად ძნელს.
ნუგეშს შენს ტოლებში იპოვნი და მხოლოდ მათღა
ბებრისთვის შესაფერს გაუბამ საუბარს გრძელს.

წლები, მარბიელი, თანდათან გაძარცვავს ხსოვნას.
საკუთარ კედლებში დღითდღე დაჰკარგავ ხმას.
სულატკიებული ხშირად ჩააკითხავ ყრმობას,
და არგანს შესჩივლებ, რასაც არ ეტყოდი ძმას.

როს დროის დოლაბი სიცოცხლეს მთლიანად დაფქვავს,
გულის ბოლო დარტყმა არყოფნას შეუღებს კარს.
სოფელი საკაცით წაგიღებს, გაგიოხრის საფლავს,
მიწაში ჩაგჩურთავს და თავთან დაგიდგამს ქვას.

თუმც ძაფი სიკეთის, რომელსაც დატოვებ ქვეყნად,
ცოდვებს გიმსუბუქებს, როცა გადალახავ ზღვარს.
და ხსოვნა ხალხისა ბეჭებით ატარებს შენს ხატს
და ანგელოზები შემოგაშველებენ მხარს.

Къаналлех лаьцна ойланаш

Хершнийн бой тосур ю замано хъан юьхь тIе м`аса.
Къаналлин ун кхетта, херлур бу хъан уьйрийн бло.
Тешаме гIоьнча а хилла хъан лелар ю Iаса.
И лубьзуш, бер санна, ког баккха Iемар ву хьо.

Маьждигехь хутIба деш ца хаззал гIеллур ду лерса,
Мера тIе дазлур ду чехк сагун куьзганийн дукъ.
Сиркхонийн йозалло дулур ду хъан дегIан терза,
IаддаргIах тарлур бу хено хъан саттийна букъ.

Кегийнаш гIертар бу ма-хуьллу хьуна пебетта,
КIордийна хиларна ахь шайна хьехамаш бар.
Цхьа синтем хир бу хъан дахарехь хьайна ма-хетта:
Хьуо санна, баккхийчу нахаца къамелаш дар.

Иэс малдан марзлур ю дебначу хъан шерийн гIера.
ХIусамехь тIаьхь-тIаьхьа гIеллур ду хъан зевне аз.
Лазам сов бийларна, вирзина хьекъале беран,
Iасане юьйцур ю ахь хьайна мел хилла вас.

Эххар а, хан яьлча хъан дахар дерриг а аьхьна,
Хъан даго дуьненна хазор ду тIаьхьхьара «гурт».
Юьртахойн тобано барам тIехь кешнашка ваьхьна,
Хьо лаьттах вуллур ву, гIевланга хIоттийна чурт.

Амма ахь тIаьхьенна битинчу диканан хьесо
Хъан къинош човхор ду, абаде дIавоьдуш хьо,
Хъан амат гитоьхна лелор ду адамийн иэсо,
Эхартахь хьуна тIе кхачийта маликийн гIо.



პოეტი და მოლგაწე ილმან იუსუფოვი დაიბადა 1951 წელს. იგი არის რამდენიმე გახმაურებული კრებულის ავტორი, აქტიური მონაწილე ჩეჩენი ხალხის ბრძოლისა კრემლის რეჟიმთან.

2001 წლიდან ემიგრაციაშია, შვედეთში, იგი ამ ტვეყნის მწერალთა კავშირის წევრია და ცნობილი მოჭადრაკე.

2003 წელს მოსკოვში გამოიყვანა ჩეჩენური პოეზიის ანთოლოგია, რომელშიც ვერ მოხვდა ჩეჩენური პოეზიის სამი გრანდი - ზელიმხან იანდარბიევი, ზაინდი ბაიშაჯიევი და ილმან იუსუფოვი.

მიზეზს ახსნა არ სჭირდება, მაგრამ თავად ფაქტი მრავლისმეტყველია. ამ დიდებული მოკალმის თვითმყოფადი პოეზია პირველად ჩემს თარგმანებში ავლერდა ქართულ ენაზე, რაც ძალიან შეამაყება.

კობა ჭუმბურიძე

Сан Ненак мѣтара саттосуц хьа-ла а гъотти,
 Сан коьх хьабрѣ нийб — дийнахь сан бен дѣзаш бер?
 Ткъа, самаволдуархь, совга укга хьал-де а хоттий,
 Со кхарста хъанѣ цо, хувлий сан доццун цѣ терг.
 Ткъа, бусе, кобаро хьабстѣ сан зийзѣ кѣ тѣши,
 Мал зѣгѣ кѣдѣлархь мен хеннахь цѣ дубѣтѣ дѣ:
 Хьестарѣ, царѣх ѣѣхотталой, сан ненак кѣ тѣри,
 Со ларбар цѣхуцу дѣфѣне лѣдѣтѣтѣ хѣ ...